პროფესიულიგანათლება

N4(7)·22

პროფესიული პროგრამები 2022 წელი

ნინო ელბაქიძე
რედკოლეგიის ხელმძღვანელი

ჟურნალი „პროფესიული განათლების“ სპეციალური ნომერი თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის მომზადდა. ასევე მათთვის, ვისაც სურს პროფესიის შესწავლა ან შეცვლა. აქ ნახავთ 2022 წელს ავტორიზებულ სასწავლებლებს, რომლებიც აცხადებენ მიღებას პროფესიულ პროგრამებზე.

ადამიანმა უნდა აირჩიოს ის საქმე, რომელიც მას უყვარს და აინტერესებს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რეალური წარმატების მიღწევა. პროფესიულ განათლებაში 200-ზე მეტი პროფესიაა. გაეცანით, აირჩიეთ, ისწავლეთ, დასაქმდით. თქვენი წარმატება თქვენს ხელშია.

ელენე ცხაკაია
UNDP პროექტის მენეჯერი

პროფესიული განათლება პროფესიული განვითარების, ღირსეული დასაქმების და მთელი სიცოცხლის მანძილზე კარიერისა და კვალიფიკაციის განვითარების შესაძლებლობას გვაძლევს, რითაც თავის მხრივ, წვლილი შეგვაქვს ამა თუ იმ სექტორის და მთლიანად ეკონომიკის განვითარებაში... ყველას, ვინც ახლა იღებთ გადაწყვეტილებას, საინტერესო და წარმატებული მოგზაურობა მსურს ამ გზაზე გისურვოთ

მიორგი ამილახვარი
საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე

პროფესიული განათლება ეს არის უმოკლესი გზა დასაქმებისკენ, კარიერული ზრდისკენ. სახელმწიფოს მიერ დღეს შეთავაზებული პროფესიული განათლება შესაძლებლობას აძლევს ყველა ჩვენს მოქალაქეს დასაქმდეს მოკლე ვადებში, ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურება და იყოს რეალიზებული ცხოვრებაში. მოვუწოდებ ყველა ჩვენს მოქალაქეს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ჩაერთონ პროფესიულ განათლებაში.

ვალერიან მობრონიძე
განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

დიდი მოგზაურობა ყოველთვის პატარა ნაბიჯით იწყება. შრომის ბაზრის დინამიკურ მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი კი კარიერული წარმატებისკენ სვლის უნიკალურ შესაძლებლობას გთავაზობთ. აკეთო ის, რაც გიყვარს, წარმატების მთავარი გასაღებია.

თამარ ქიტიაშვილი
უნარების საკვლევლის მენეჯერული დირექტორი

ჩემი კარიერა პროფესიული განათლებით დავიწყე. ჩემი გამოცდილებით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ახალგაზრდა ადამიანი, მოზარდი პროფესიის შესწავლისას იღებს, არის თავდაჯერება! თავდაჯერება, მიღწეული ახლად შეძენილი უნარებით, რაც გაძლევს ისეთ ინერციას, რომელიც მთელ კარიერას გასწვდება.

კახაბერ ერაქძე
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

პროფესიული განათლება არასოდეს ყოფილა ასე დინამიკურად განვითარებადი. დღეს ის განათლების მიღების სრულფასოვანი ალტერნატივაა, სადაც მათ საჭიროებაზე მორგებულ პროგრამებს სთავაზობენ ყველა ასაკის ადამიანს. დაეუფლე ახალ პროფესიას, გადამზადდი შენსავე პროფესიაში ან მიიღე სრული ზოგადი განათლება კოლეჯში... შეაბიჯე მრავალფეროვანი შესაძლებლობების სამყაროში!

მაგდა მალრაქე
პუბლიკაციების ფონდის კოგვსრულებელი დირექტორი

საქართველოს ეკონომიკური ზრდა დღეს ძირითადად ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული. ბიზნესს კი წინსვლისთვის ესაჭიროება პროფესიონალი სპეციალისტები, რომლებიც ინდუსტრიის და შრომის ბაზრის მოთხოვნებს პასუხობენ. ასეთი სპეციალისტების მომზადება პროფესიული განათლების ახალ პროგრამებზეა შესაძლებელი და ასეთი პროგრამები დღეს უკვე მრავლად გვაქვს ქვეყანაში. ამ პროგრამების წარმატებით დასრულების შემდგომ სპეციალისტს შეუძლია ღირსეულად დასაქმება, კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი სამუშაოს მონახვა ან საკუთარი ბიზნესის დაწყება. შესაბამისად, დღეს პროფესიულ განათლებას ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის უდიდესი როლი აკისრია.

შინაარსი

სახელმწიფო კოლეჯები

2 სსიპ კოლეჯი „აისი“

4 სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

6 სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

8 ა(ა)იპ კოლეჯი „მანთიადი“

9 სსიპ კოლეჯი „მლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

10 სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

12 სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“

14 თსუ „მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი“

15 სსიპ კოლეჯი „იბერია“

16 ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“

17 სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

19 სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

20 სსიპ კასპის კოლეჯი

21 ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“

22 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

23 სსიპ კოლეჯი „მერმისი“

25 სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

27 სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

30 ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

32 ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

34 ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

36 სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

37 სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

39 შპს „შვეიცარიული პრარული სკოლა კავკასია“

40 ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

კერძო კოლეჯები

42 კოლეჯი „ერსი“

43 ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

44 შპს „ბერკონი“

45 საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA

46 შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“

48 შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“

49 შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“

50 შპს „თეგეტა აკადემია“

51 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

53 კეთნი აკადემია

54 შპს „მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი“

55 მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

56 შპს კოლეჯი „მესამე სამედიცინო“

57 შპს „ორიენტირი“

58 შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელი „ენრი“

59 შპს კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი“

პროფესიულიგანათლება

N 4(7)·22

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ფოტოგრაფია
ირმა გაჩეჩილაძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი

თამარ ქიტიაშვილი – უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი

გიორგი ნანობაშვილი – გაეროს განვითარების ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი

თეა გულუა – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინოვაციების და ცოდნის მართვის სპეციალისტი

გიორგი პერტაია – სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

სსიპ კოლეჯი „აისი“

სოფელი კაჭრეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, კახეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „აისი“ კახეთის რეგიონში ლიდერი პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი ისტორია 1980 წლიდან იწყება. კოლეჯი „აისი“, სასწავლო პროცესი, კურსდამთავრებულები, ინტელექტუალური პოტენციალი, პარტნიორებთან და კოლეგებთან ურთიერთობები, ჩვენი ისტორია – არის ერთგვარი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად ახლის ძიებაშია, მუდმივად ვითარდება და მუდმივად იმარჯვებს. კოლეჯი „აისი“ პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. სასწავლო პროცესი მიმართულია არა მხოლოდ სტუდენტის ინფორმაციითა და ცოდნით აღჭურვისკენ, არამედ ამ ცოდნის გამოყენებისა და განვრცობისკენ, მის საფუძველზე ახლის მოძიებისკენ. ამიტომ აქ ცოდნის მიღების პარალელურად, სტუდენტებსა და მსმენელებს ვეხმარებით ძლიერი პიროვნული მახასიათებლების განვითარებაში, საზოგადოებასა და სოციალურ გარემოში ინტეგრაციაში, საკუთარი უნარებისა და სოციალური როლის გააზრებაში. დაარსების დღიდან კოლეჯში პროფესიული განათლება 50 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. კოლეჯი „აისი“ მოიცავს კახეთის თითქმის მთელ რეგიონს და ოთხ მუნიციპალიტეტშია განთავსებული: გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში.

კოლეჯ „აისს“ აქვს უნივერსალური დიზაინის სასწავლო გარემო, რომელიც ადაპტირებულია ნებისმიერი საჭიროების მქონე (სსსმ/შშმ) პირისთვის. კოლეჯი უნიკალურია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საწარმოებით, ლაბორატორიებით, სახელოსნოებით და სხვადასხვა ტიპის მეურნეობებით. ის წარმოადგენს თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებულ, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის ბაზაზე ფუნქციონირებს 300 სტუდენტზე გათვლილი კეთილმოწყობილი სტუდენტთა პანსიონი, სადაც ყველა სტუდენტს შეუძლია იცხოვროს სახელმწიფოს დაფინანსებით.

კოლეჯ „აისში“ სწავლა ხორციელდება სახელმწიფოს სრული დაფინანსებით.

კოლეჯის მიზანია მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. მისი გუნდი მუდმივად ისწრაფვის განვითარებისა და სრულყოფილებისაკენ.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი	(+995 353) 200 493	kachreti@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

კაჭრეთი

- მევენახეობა-მეღვინეობა – V დონე (ხანგრძლივობა 3 წელი) – დუალური
- ვეტერინარია – V დონე (ხანგრძლივობა 22 თვე)
- სატყეო საქმე – IV დონე (ხანგრძლივობა 9 თვე)
- მეფუტკრეობა – III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- კულინარიის ხელოვნება – III დონე (ხანგრძლივობა 14 თვე)
- ინფორმაციის ტექნოლოგია – III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები – ინტეგრირებული (ხანგრძლივობა 3 წელი)
- ელექტროობა – III დონე (ხანგრძლივობა 9,5 თვე)
- იატაკისა და ფილის სამუშაოები – III დონე (ხანგრძლივობა 14 თვე)
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება – III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- თმისა და სილამაზის მომსახურება – III დონე (ხანგრძლივობა 10.5 თვე)
- ხის მხატვრული დამუშავება – III დონე (ხანგრძლივობა 15.5 თვე)

დედოფლისწყაროს ფილიალი

- ელექტროობა – III დონე (ხანგრძლივობა 9.5 თვე)
- ქვის სამუშაოების წარმოება – III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- თმისა და სილამაზის მომსახურება – III დონე (ხანგრძლივობა 10.5 თვე)
- თექის დამზადება – III დონე (ხანგრძლივობა 13.5 თვე)
- ბუღალტრული აღრიცხვა – V დონე (ხანგრძლივობა 18 თვე)

ლაგოდეხის ფილიალი

- სატყეო საქმე – IV დონე (ხანგრძლივობა 9 თვე)
- იატაკისა და ფილის სამუშაოები – III დონე (ხანგრძლივობა 14 თვე)
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი – III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- ბუღალტრული აღრიცხვა – V დონე (ხანგრძლივობა 18 თვე)
- საოფისე საქმე – IV დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)

ალვანის ფილიალი

- თმისა და სილამაზის მომსახურება – III დონე (ხანგრძლივობა 10.5 თვე)
- მხატვრული ქსოვილები – III დონე (ხანგრძლივობა 13.5 თვე)
- თექის დამზადება – III დონე (ხანგრძლივობა 13.5 თვე)
- მომინანქრება – III დონე (ხანგრძლივობა 11 თვე)
- კერამიკული ნაკეთობის დამზადება – III დონე (ხანგრძლივობა 14 თვე)

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „კახური“
შპს „მეღვინეობა გრანელი“,
შპს „კახური ღვინოები“
შპს „ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია კაჭრეთი“
სს „თელიანი ველი“
შპს „შალვინო“
სს „მეგობრობის მარანი“
შპს „ვაზისუბნის მამულები“
შპს „წინანდლის ძველი მარანი“
შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
შპს „შუმი“
შპს. „შადრევანი“
შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“
შპს „მარანული“
შპს „გრუზვინპრომი“
სს „კორპორაცია ქინძმარაული“
სს „შატო მუხრანი“
სს „ჭანდარი ღვინის ქარხანა“
შპს „შატო მუკუზანი“
შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“
შპს „მარნისკარი“
კახეთის სატყეო სამხრეო სამსახური
ქართული აგროპროდუქტი
შპს „სქაინეთი“
ენერგო-პრო-ჯორჯია
სასტუმრო „ამბასადორი“
შპს „ცმლ+“
შპს MNG
შპს „ფიროსმანი“
ააიპ „თაობათა კერა“
შპს „რენესანსი“
ჯეო-ჰოსპიტალსი
სს PSP
სს „ავერსი“
შპს „მექანიზატორი“
სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
შპს „ტობი“
შპს „იბერიაა“
შპს „აგროქიზიყი“
ააიპ კენკრის მწარმოებელთა ასოციაცია
შპს მარნეულის სასურსათო ქარხანა
ააიპ „კახური კერამიკა“
შპს „ელექტრონტექნიკსი“
შპს „ვირსერვისი“
შპს „ჯეოორგანიკი“

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

ქალაქი ქობულეთი, ხულო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაციას კოლეჯის შესახებ

პროფესიული სასაწავლებელი. 1976 წელს იგი გახდა 90-ე ტექნიკური სასწავლებელი, 1985 წელს – საშუალო ტექნიკური პროფესიული სასწავლებელი. 2006 წლიდან, განათლების რეფორმების შედეგად, ის პროფესიული სწავლების ცენტრია, 2012 წლიდან კი მას მიენიჭა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი. ამ წლების განმავლობაში ათასობით სტუდენტმა დაასრულა სწავლა კოლეჯში სხვადასხვა მიმართულებით.

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ მრავალპროფილურია. სწავლება ხორციელდება ტურიზმის, სამშენებლო, აგრარული, სამედიცინო და ხელოვნების მიმართულებით. კოლეჯში ამჟამად 33 მოდულური, 5 დუალური, 3 ინტეგრირებული და 20 პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაა. ის ავტორიზირებულია 1200-მდე პროფესიულ სტუდენტზე (პროგრამების ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს ვებგვერდზე www.kpc.ge). კოლეჯში შექმნილია მაქსიმალურად კომფორტული გარემო სტუდენტებისათვის. ამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის; გვაქვს სტანდარტებზე მორგებული თანამედროვე კლას-ლაბორატორიები, რომლებიც მუდმივად განახლებად რეჟიმშია. „ახალ ტალღას“ მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ, დაბა ხულოში გააჩნია ფილიალი, რომელიც ავტორიზირებულია 117 პროფესიულ სტუდენტზე და 6 პროფესიულ პროგრამაზე.

კოლეჯის მისიაა, წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდაში, შრომის ბაზრისა და კოლეჯის პროფილის შესაბამისად, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გზით.

კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიზანია, მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური და მოთხოვნადი კადრები; მუდმივი განვითარების გზით შეინარჩუნოს ლიდერობა მრავალფეროვანი პროგრამების სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვის, აგრეთვე კერძო და საჯარო პარტნიორებთან თანამშრომლობის კუთხით.

კოლეჯის სტრატეგიული სლოგანია: „თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!“

კოლეჯში სწავლა შეუძლია ნებისმიერი ასაკის ადამიანს, რომელსაც აქვს საბაზო ან სრული ზოგადი განათლება. სწავლა უფასოა. საბიუჯეტო გრძელვადიან პროგრამებთან ერთად კოლეჯი ახორციელებს კერძო პირების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვეთით მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსებსაც.

კოლეჯში ფუნქციონირებს ფაბლაბი და საერთო საცხოვრებელი.

ის აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონკურსებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში წამყვან მსხვილ თუ მცირე ბიზნესსექტორთან და, შესაბამისად, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაქსიმალურად მაღალია.

მისამართი

ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N154
ხულო, მ. შავაძის N3

საკონტაქტო ტელეფონი

591 81 11 70, 591 81 11 76

ელექტრონული ფოსტა

collegenewwave@gmail.com
web: www.kpc.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი პროგრამები (რომლებზეც ცხადდება მიღება):

- კომპიუტერული ქსელები და სისტემები;
- ლოგისტიკა;
- ელექტროობა;
- მსუბუქი ავტომობილის შეკეთება;
- ხის მხატვრული დამუშავება;
- სასტუმრო მომსახურება;
- სარესტორნო მომსახურება;
- ფარმაცია;
- საექთნო განათლება;
- კულინარიის ხელოვნება;
- კონდიტერია;
- ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება;
- ჰაერის კონდიცირება;
- საფინანსო სერვისები;
- საოფისე საქმე;
- შედუღება;
- ღონისძიების ორგანიზება;
- ბაღის დიზაინი;

- მშენებლობის წარმოება – სამღებრო სამუშაოები;
- მშენებლობის წარმოება – თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
- მშენებლობის წარმოება – იატაკისა და ფილის სამუშაოები;
- თმის სტილისტი;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- სატყეო საქმე;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- მეფუტკრეობა.

დუალური პროგრამები:

- სასტუმრო მომსახურება (დუალური);
- შედუღება (დუალური);
- კულინარიის ხელოვნება (დუალური).

ხულოს ფილიალი:

- ელექტროობა;
- ვეტერინარია;
- სატყეო საქმე;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- მეფუტკრეობა;
- სასტუმრო მომსახურება.

პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები:

- სასტუმროს მიღება-განთავსების პროცედურები (პროფესიული მომზადება);
- სარესტორნო სერვისის წარმოება (პროფესიული მომზადება);
- საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი (პროფესიული მომზადება);
- საქმის წარმოება (პროფესიული მომზადება);
- ბუღალტრული აღრიცხვა სასტუმრო ინდუსტრიისთვის (პროფესიული მომზადება);
- სასტუმროს გაყიდვები და მარკეტინგი (პროფესიული მომზადება);
- ხე-ტყის დამზადება (პროფესიული მომზადება);
- ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება (პროფესიული მომზადება);
- თმის შეჭრა და ვარცხნილობის მოდელირება (პროფესიული მომზადება);
- სარესტორნო სერვისი და სერვირება (პროფესიული მომზადება);
- სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტის (მიღება-განთავსება, დასუფთავება, კვება და სასმელები, პროცედურები) (პროფესიული მომზადება);
- ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება (პროფესიული მომზადება);
- კერძების მომზადების ტექნოლოგია (პროფესიული მომზადება);
- კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისთვის (პროფესიული გადამზადება);
- სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლთა მომსახურება (პროფესიული მომზადება);
- ლითონების შედუღება (MIG) და (MAG) (პროფესიული მომზადება).

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „ტურინვესტი“ (სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“)
შპს „პარაგრაფ შეკვეთილი“
შპს „ჭყონია და კომპანია“
შპს „ანაგი“
შპს „გზა“
შპს „ავერსი-ფარმა“
შპს „შატო კვირიკე“
სს „ევექსის ჰოსპიტლები“
სს „ლიბერთი ბანკი“
სს „ნიკორა ტრეიდი“

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

ქალაქი ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „ბლექსი“ წარმოადგენს ქ. ბათუმში წლების მანძილზე არსებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. კოლეჯმა არაერთგზის შეიცვალა სახელწოდება და სსიპ კოლეჯად „ბლექსი“ 2011 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა, იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე, საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და მზარდია სწავლის მსურველთა და სოციალურ პარტნიორთა რაოდენობა. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს მოდულური, დუალური და ინტეგრირებული სწავლების მიდგომით, ტურიზმის, სამშენებლო, ინჟინერიის, ტექსტილის და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კოორდინირებული თანამშრომლობით.

კოლეჯი „ბლექსი“ სწავლის მსურველებს სთავაზობს:

- სწავლებას სახელმწიფო დაფინანსებით;
- პროფესიული ზრდის შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- დუალური მიდგომით სწავლებას;
- მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს;
- დასაქმების შესაძლებლობას;
- Cisco-ს ქსელური აკადემიის სერტიფიკატს;
- ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სერვისს;
- ინტეგრირებულ პროგრამებს,
- სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებას;

დუალური მიდგომით სწავლების, სტუდენტთა /მსმენელთა/ კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებთან (სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები, სამკერვალო ატელიეები, საჯარო დაწესებულებები და ა.შ.). ასევე, კოლეჯი თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი (MCA), ევროპის განათლებისა და ტრენინგების ფონდი (ETF).

კოლეჯი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სამ ლოკაციაზე:
ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვის ქ. N92-ა;
ქედის მუნიციპალიტეტი, ა. წერეთლის ქ. N4;
შუახევის მუნიციპალიტეტი, ი. ჭავჭავაძის ქ. N8.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. ბათუმი. ლერმონტოვის ქ. N92ა	+(995 422) 24 77 50, 577 385 843	info@blacksea.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- კულინარიის ხელოვნება (მოდულური);
- კულინარიის ხელოვნება (დუალური);
- სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული);
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება;
- სასტუმრო მომსახურება (დუალური);
- სარესტორნო მომსახურება (დუალური);
- კონდიტერია;
- ელექტროობა;
- საავტომობილო გზების მშენებლობა (დუალური);
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები;
- სამკერვალო წარმოება;
- შედუღება (შუახევის მისამართზე);
- ელექტროობა (შუახევის მისამართზე).

პარტნიორი ორგანიზაციები

ტურიზმის მიმართულებით:

სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“
სასტუმრო „შერატონ ბათუმი“
სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმი“
სასტუმრო „კასტელო მარე“
სასტუმრო „ლა მერიდიენ ბათუმი“
სასტუმრო „ვინდამ ბათუმი“
სასტუმრო „კოლიზეუმი“
სასტუმრო „სანაპირო“
საკონდიტრო „ალუბალი“
ჰიპერმარკეტი „გუდვილი“

მშენებლობის მიმართულებით:

„ანაგი“
„ორბი“
„გუმბათი“
„გზები“
„სევენ სთარ კონსტრაქშენი“
„ზიმო-7“
„დისი კონსტრაქშენი“
შპს „მარეთი“
შპს „ბონდი – 2009“
შპს „მირაკლი“

აგრარული მიმართულებით:

„ფუტკრის სამყარო“

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

ქალაქი გორი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ 2012 წელს დაფუძნდა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ორიენტი“ და ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „განთიადი“ რეორგანიზაციის შედეგად.

ჩვენი მისიაა, ხელი შევუწყოთ პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით.

ჩვენი ღირებულებებია: პროფესიონალური სწავლება, ბაზრის საჭიროებებზე მორგება; დასაქმებაზე ზრუნვა და კერძო სექტორთან თანამშრომლობა; თანამედროვე პრაქტიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში; ინკლუზიურობა და ემპათია, თვითგანვითარებისკენ მუდმივი სწრაფვა.

ჩვენ გვჯერა, რომ ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განათლება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საწინდარია და ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის.

მისამართი

ქ. გორი, ბესიკის ქუჩა 2

საკონტაქტო ტელეფონი

+995 0(370) 227 871

ელექტრონული ფოსტა

gantiadi@gantiadi.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- შედუღება;
- ელექტროობა;
- თმის მომსახურება;
- სამკერვალო წარმოება;
- ხის მხატვრული დამუშავება;
- იატაკისა და ფილის სამუშაოები;
- სამღებრო სამუშაოების შესრულება;
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
- მეხილეობა;
- მებოსტნეობა;
- მეფუტკრეობა.

სასერტიფიკატო პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამები:

- რეგიონული ტურის მეგზური;
- ქალის ტანსაცმლის კერვა, გადაკეთება;
- საბათქაშე სამუშაოების შესრულება;
- სხვადასხვა ზედაპირის მოპირკეთება ფილებით;
- ინტერიერისა და ექსტერიერის დამუშავება, დაგრუნტვა, შეღებვა;
- დეკორატიული მცენარეების გამრავლება ღია გრუნტში.

პარტნიორი ორგანიზაციები

სილამაზის ცენტრი GOLD

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების წყალანირების მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურის სამსახური

შპს „ვაშენოთ ერთად“

ფ/პ გაიოზ ხაჩიური

შპს „აგროკომი“

ინდმეწარემე გოგიტა შერმადინი

ინდმეწარმე სოფო იმერლიშვილი

შპს „აგროქართლი“

სამკერვალო „ლიდერი“

სამკერვალო „გვირისტი“

ინდმეწარმე კახა დათაშვილი

სსიპ კოლეჯი „ვლადანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნდა 2012 წელს. კოლეჯს 2019 წლიდან 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიკური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მისი ძირითადი მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, რათა სტუდენტებმა შეძლონ პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებას და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას/დახვეწას.

დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების პროგრამებს, აქვს დუალური სწავლების გამოცდილებაც, რაც გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. ამასთან, 2019 წლიდან კოლეჯი ახორციელებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის, პროფესიის შესწავლის პარალელურად, სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44	+995(32) 214 03 14, 214 03 15	profgldaniedu@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ბუღალტრული აღრიცხვა;
- ვებტექნოლოგიები;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
- საფინანსო სერვისები;
- საოფისე საქმე;
- სამკერვალო წარმოება;
- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება;
- გრაფიკული დიზაინის შესრულება;
- ინდუსტრიული დიზაინის შესრულება;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება.

კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს:

- საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა;
- სალარო ოპერაციების განხორციელება;
- სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- ხიდურა ამწის ოპერირება;
- მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება;
- სოციალური მედიის მართვა.

პარტნიორი ორგანიზაციები

კოლეჯის მიერ წლების განმავლობაში გაფორმებულია 500-ზე მეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. პარტნიორ კომპანიებს შორის არიან: „ჯი-თი მოტორსი“, „ნოვა“, „მაუდი“, „თეგეტა მოტორსი“, „დიო“, „ლიბერთი ბანკი“, „გუდვილი“, „ტექნო პარკი“, „ამბოლი“, „კრედო ბანკი“ და ა.შ.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

ქალაქი ამბროლაური, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ქ. ამბროლაურში, 1982 წლიდან ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი. სხვადასხვა პერიოდის რეფორმების შედეგად რამოდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება, ფუნქცია და მდებარეობა:

1. 1982-1984 წლები – ამბროლაურის N156 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.
2. 1984-1990 წლები – ამბროლაურის N156 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.
3. 1990-1991 წლები – ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.
4. 1991-2001 წლები – ამბროლაურის N156 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი
5. 2001-2008 წლები – ამბროლაურის პროფესიული სასწავლებელი
6. 2008-2011 წლები – ამბროლაურის პროფესიული სწავლების ცენტრი
7. 2011 წლიდან დღემდე – სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“

2010-2011 წელს განხორციელებული რეფორმით, შეცვლილი საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად, ჩამოყალიბდა პროფესილი კოლეჯი „ერქვანი“, როგორც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის პროფესიული მომზადების სასწავლო დაწესებულება.

აღნიშნული სასწავლებელი განთავსებული იყო, მისთვის სპეციალურად აშენებულ, იმ დროისათვის თანამედროვე შენობა ნაგებობაში, შესაბამისად ფლობდა საკმაოდ კარგ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. 1991 წელს მომხდარმა მიწისძვრამ და იმ დროისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა, თითქმის მთლიანად გაანადგურა აღნიშნული ბაზა. 1991 წლიდან სასწავლებელმა ფუნქციონირებ გააგრძელა ამბროლაურის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ტერიტორიაზე გურგენიძის ქ. N10-ში (აღნიშნული ტექნიკუმი გაუქმდა 1989 წელს).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011წლის ივლისში დაიწყო და 2013 წლის სექტემბერში დასრულდა ახალი თანამედროვე ტიპის სასწავლო კორპუსის მშენებლობა ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქ. N10-ში.

შრომის ბაზრის მოთხოვნის და დასაქმების სფეროების შესაბამისად სასწავლებელი ახორციელებდა სტუდენტთა მომზადებას, როგორც სახელობო პროგრამებში, ასევე ახორციელებდა მოკლევადიანი გდამზადების კურსებს UNDP-ის და USAID-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით სხვადასხვა სფეროებში და პროფესიებში: სოფლის მეურნეობა; მშენებლობა; გადამამუშავებელი მრეწველობა; ტურიზმი; ხელოვნება და სხვა.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10	(0439) 22 11 91	koleji.erqvani@gmail.com

პროფესიულ-სავანმანათლებლო პროგრამები

- ბუღალტრული აღრიცხვა (მე-5 დონე)
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (მე-3 დონე)
- ელექტროობა (მე-3 დონე)
- თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი (მე-3 დონე)
- იატაკისა და ფილის სამუშაოები (მე-3 დონე).

მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები:

- მარნის მასპინძელი (16 კვირა)
- მეღვინეობის საწარმოო დანადგარების ექსპლუატაცია და მართვა (7კვირა)
- შენობა-ნაგებობების შიდა განათების და ძალის წრედების მონტაჟი (10 კვირა)
- კომპიუტერის მოხმარება-ოპერირება (7 კვირა)
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა (10 კვირა)
- კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის მოხმარება-ოპერირება (12 კვირა).

კოლეჯი მუშაობს ორ მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამის ავტორიზებაზე:

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება (4 კვირა)
- სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია) (6 კვირა).

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს იწის მარანი
შპს ბარაკონი
შპს გეო ფლაუერი
რ/კ რაჭის ნატურალური პროდუქტები
შპს ბლაუენშტეინ საქართველო.

სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“

დაბა მესტია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „თეთნულდი“ შეიქმნა ყოფილი ლიცეუმის ბაზაზე 2011 წელს. ის არის ავტორიზებული პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს III, IV, V დონის გრძელვადიან და მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

ადგილობრივი ბაზრის საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე, კოლეჯი აწარმოებს მიღებას შემდეგ პროგრამებზე:

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული);
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- სასტუმრო მომსახურება;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- სატყეო საქმე;
- სამკერვალო წარმოება;
- კულინარიის ხელოვნება;
- კონდიტერი;
- ელექტროობა;
- ხის მხატვრული დამუშავება.

მომავალ წელს კოლეჯი გეგმავს ავტორიზაციის მოპოვებას შემდეგ პროგრამებზე:

- საექთნო საქმის პროგრამაზე – Vდონე;
- ელექტროობა – IV დონე.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად, როგორიცაა UNDP, GIZ, ათასწლეულის განვითარების ფონდი; აქვს USAID-ისა და ევროკავშირის პროექტებთან თანამშრომლობის გამოცდილება – ENPARD III მესტიის პროექტი. კოლეჯი ასევე არის ზემო სვანეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (LAG) წევრი.

2016-2017 წლებში კოლეჯში განხორციელდა პროექტი – საქართველოს ფორმალურ/არაფორმალურ პროფესიული განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის კავშირების გაღრმავება უწყვეტი განათლების კონტექსტში, რომელიც დაფინანსდა ევროკავშირის (EU) მიერ და განახორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის საშუალებით (UNDP).

2016-2017 წლებში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში, განხორციელდა პროექტი „ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე, საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დაფუძნება“. კოლეჯში დაარსდა ცისკოს საერთაშორისო აკადემია და კოლეჯი აღიჭურვა სპეციალიზებული ლაბორატორიული და ვიდეო-საკონფერენციო აპარატურით. მომზადდა სერტიფიცირებული ინსტრუქტორი ცისკოს პროგრამების ბაზაზე.

2019 წელს კოლეჯს მიენიჭა IT განათლების საუკეთესო პროვაიდერის წოდება.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
მესტია, ე.ფარჯიანის ქ. N25	**ირმა ჯაფარიძე – კოლეჯის დირექტორი** **577 58 24 24**	**ijafaridze68@gmail.com**

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი პროგრამები:

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული);
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- სასტუმრო მომსახურება;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- სატყეო საქმე;
- სამკერვალო წარმოება;
- კულინარიის ხელოვნება;
- კონდიტერი;
- ელექტროობა;
- ხის მხატვრული დამუშავება.

მოკლევადიანი პროგრამები:

- ქართული სამზარეულოს კერძების მომზადება;
- ხე-ტყის დამუშავება და ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები.

სს „ენერგოპროჯორჯია“,
მესტიის მომსახურების ცენტრი
მესტიის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
გაეროს განვითარების პროექტი UNDP
სასტუმრო „ჩუბუ“
სასტუმრო „ვილა მესტია“
სასტუმრო „ძველი სეტი“
საოჯახო სასტუმრო „გალერეა“
ინდმეწარმე ლეილა ჯაფარიძე
ინდმეწარმე თეა ჟორჟოლიანი
შპს „დაელი“
სასტუმრო „ნიუ თეთნულდი“
შპს „გიონათი“
სასტუმრო „სვანეთი“
სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლა
რესტორანი „პანორამა“
სს „კოპრორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (MCA Terminals Poti)
სს „სვანეთი ჰიდრო“
ორდუნეტი – BIA
სასტუმრო „შალე მესტია“





თსუ „მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

1989 წელს დოკუმენტური და სამეცნიერო ფილმების ავტორ-ოპერატორის ზურაბ ოშხნელის ინიციატივით შექმნილმა საყმაწვილო-სატელევიზიო სტუდიამ სათავე დაუდო საქართველოში არაფორმალურ და ფორმალურ პროფესიულ განათლებას ფოტოგრაფიაში, მედიასა და სატელევიზიო ხელოვნებაში.

1992 წელს ზურაბ ოშხნელმა კოლეგებთან ერთად დააფუძნა ტელეპროფილური სამწლიანი კერძო სკოლა არასრული ზოგადი განათლების მქონე მოსწავლეებისთვის. 1993 წლიდან სკოლა გადაკეთდა ტელეპროფილურ ლიცეუმად და გადავიდა სახელმწიფო დაფინანსებაზე. 1995 წელს ზურაბ ოშხნელის ინიციატივით და საქართველოს მთავრობის განკარგულებით, საქართველოში შეიქმნა სატელევიზიო ხელოვნების პირველი უმაღლესი პროფესიული სკოლა.

2000 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტელე-რადიო კორპორაციის წარდგინებებით, ტელეპროფილური ლიცეუმი გადაკეთდა მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯად. 2006 წელს კოლეჯი დაფუძნდა სსიპ მედიის, რეკლამისა და სატელევიზიო ხელოვნების კოლეჯის სახელწოდებით. 2007 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სსიპ მედიის, რეკლამისა და სატელევიზიო ხელოვნების კოლეჯი შეურთდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და 11 წლის მანძილზე ახორციელებდა ფოტო, სატელევიზიო და მედია მიმართულებების უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს.

2018 წლის 6 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის ინტელექტუალურ და ტექნიკურ ბაზაზე შეიქმნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი, რომელიც ახორციელებს მეოთხე და მეხუთე დონის (უმაღლეს) შვიდ პროფესიულ პროგრამას. 2019 და 2022 წლებში კოლეჯმა განახორციელა საერთაშორისო ვიდეოპროექტი აშშ-ის პარტნიორ სკოლასთან ტელეხიდის ფორმით.

2020 წელს შექმნა სტუდენტური კლუბი „პარაშუტი“, რომელიც ამზადებს აუდიო, ფოტო და ვიდეო პროდუქციას. 2020 წელს ტელესკოლისთვის მოამზადა 300 ვიდეოგაკვეთილი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქუჩა N68	+ 995 322 910 260	info@cmtv.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ვიდეომონტაჟი;
- ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება;
- ტელერეჟისურა;
- სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა;
- ფოტოგრაფია.

პარტნიორი ორგანიზაციები

ვარშავის კინოსკოლა
ლოძის კინოსკოლა
ჯერმანთაუნის უმაღლესი სატელევიზიო სკოლა
კრაკოვის ხელოვნებისა და მოდის დიზაინის სკოლა
კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტი „ნიუ ვიჟენი“
შპს „პალიტრანიუსი“
შპს „ტელეიმედი“
შპს „ბი-ემ-ჯი“
ა(ა)იპ „მაუწყებელთა ალიანსი“
შპს „კიკალა სტუდიო“
შპს რადიო ჰოლდინგი „ფორტუნა“
შპს „რუსთავი-2“
ა(ა)იპ „საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია“
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“
შპს „ფორმულა პროესკო პროდაქშენი“



სსიპ კოლეჯი „იბერია“

ქალაქი ქუთაისი,იმერეთის რეგიონი

ინფორმაციას კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „იბერია“ იმერეთის რეგიონში მოქმედი მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მიზანია, ქართული და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრები. კოლეჯი ახორციელებს თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებას კეთებით; ხელს უწყობს საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში და, შესაბამისად, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით დიდი წვლილი შეაქვს რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. კოლეჯი ახორციელებს როგორც საბაზო, საშუალო და უმაღლესი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული მომზადების და გადამზადების მრავალფეროვან პროგრამებს, სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორთან ურთიერთთანამშრომლობის გზით.

კოლეჯი „იბერია“ ორიენტირებულია შრომის ბაზრის, დამსაქმებლისა და მომხმარებლის მოთხოვნებზე დაყრდნობით მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო და სტუდენტური სერვისების მიწოდებაზე. ის თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს ყველას, ვისაც სურს პროფესიული წინსვლა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. სსიპ კოლეჯი „იბერია“ დაარსდა 2006 წელს ქუთაისში, „მოდელირებისა და კერვის ტექნოლოგიის ლიცეუმის“ ბაზაზე. მას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და სათანადოდ აღიჭურვა. აქვს ფილიალი ბაღდათში. კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საერთო საცხოვრებელს სრულიად უფასოდ.

კოლეჯში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხორციელდება მიღება გასაუბრების საფუძველზე. ხელოვნების მიმართულების პროგრამებზე ტარდება შემოქმედებითი ტური.
კოლეჯი ახორციელებს აგრარული მიმართულების დუალურ პროგრამას „მეხილეობა-მეჩაიეობა“ , რომელიც ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. ხორციელდება პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები: გრაფიკული საქმე, დურგალი, სერვისი და სერვირება, ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება, ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მასალაში შესრულება, თმის შეჭრა-შეღებვა, მარნის მასპინძელი, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, მეღვინე დეგუსტატორი. კოლეჯი საკვალიფიკაციო პროგრამებთან ერთად ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამებსაც (თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ასევე პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა, სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების და ა.შ.). სწავლების პროცესს უძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები.

კოლეჯი მუდმივად განვითარების რეჟიმშია და სამომავლოდ გეგმავს ახალი, თანამედროვე, პროფესიული პროგრამების დამატებას, საერთაშორისო კავშირების გაზრდას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის.

მისამართი

ქ.ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61
კოლეჯის ძირითადი შენობა

ქ.ქუთასისი, ნიკეას ქ. N15
კოლეჯის საერთო საცხოვრებელი

საკონტაქტო ტელეფონი

+995 (571) 07 43 17

ელექტრონული ფოსტა

info@iberia.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- **აგრარული მეცნიერებანი:** კულინარიის ხელოვნება;
- **ბიზნესის ადმინისტრირება:** სარესტორნო საქმის სპეციალისტი, ბუღალტრული აღრიცხვა, სასტუმრო მომსახურება;
- **ინჟინერია:** ინფორმაციის ტექნოლოგია, ელექტროობა, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, შემდუღებელი, ვებტექნოლოგიები;
- **ხელოვნება:** სამკერვალო წარმოება, თმის მომსახურება, ხის მხატვრული დამუშავება.

ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“

ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალო, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯ „იკაროსის“ ისტორია 2007 წლიდან იწყება. კოლეჯი დაარსებიდან ტურიზმისა და მომსახურების სფეროში ოპერირებს. დღემდე პოპულარული და ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებელია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო უახლესი ტექნიკით. კოლეჯი ახორციელებს 5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ტურიზმისა და მომსახურების მიმართულებით, კერძოდ: სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, ღონისძიების ორგანიზება. აღნიშნული ავტორიზებული პროგრამების საფუძველზე კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 11 პროგრამა, რომლებსაც პარტნიორ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით ახორციელებს. ავტორიზაციით განსაზღვრული კვოტა სადიპლომო პროგრამებზე შეადგენს 1026 ადგილს.

ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან არა მარტო საქართველოს ბრენდულ სასტუმროებსა და რესტორნებში, არამედ გერმანიაში, ამერიკაში, შვედეთში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 87%-ს.

2017 წელს კოლეჯი წლის საუკეთესო კოლეჯი გახდა. წლის საუკეთესო პროფესიული პედაგოგის წოდება კი „იკაროსის“ შეფმზარეულმა, მანუელ ფაუნდეს ბარანდამ მოიპოვა. 2017 წლიდან კოლეჯი მონაწილეობას იღებს სლოვაკეთსა და პოლონეთში გამართულ კონკურსებში: ევროპა 2017, 2018, 2019, 2022, სადაც ნომინაციებში: მზარეული, სარესტორნო საქმე, ბარმენი, კონდიტერი – კოლეჯის სტუდენტებმა სხვადასხვა საპრიზო ადგილები მოიპოვეს;

სასწავლებლის პროგრამები სრულად არის მორგებული შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. „იკაროსი“ დაარსებიდან აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ორგანიზაციებთან (GIZ, IOM, Syntea, PUM, Georgia for friends, Ingrao Tradizione e Innovazione; Baltic College – FHM Schwerin; Syntea, PUM, Zadkine Hospitality College, Fachhochschule des Mittelstands; ACF; კიევის ტურიზმისა და სასტუმრო საქმის ტექნიკუმი, ისრაელის საელჩო და სხვა).

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N4	**(+995 32) 237-39-81**	**collegeicarus@icarus.edu.ge**

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- კულინარიის ხელოვნება;
- კონდიტერი;
- სასტუმრო მომსახურება;
- სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული);
- სარესტორნო მომსახურება;
- სარესტორნო მომსახურება (ინტეგრირებული);
- ღონისძიების ორგანიზება;
- ღონისძიების ორგანიზება (ინტეგრირებული).

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „ორიგინალი“
შპს „კასს ლენდი“
შპს „გგმ“
შპს „მარშე“
სს „თიელესი“
სს „გუდვილი“
შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდა“
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
შპს „ავოკადო“
შპს „ციტრუსი“
შპს „ქინძმარაულის მარანი“
შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროები“ – სასტუმრო „თბილისი მერიოტი“, სასტუმრო „ქორთიად მერიოტი“, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“, სასტუმრო „შერატონი მეტეხი პალასი“.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

ქალაქი მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი დაარსდა 1883 წელს. სკოლა ქველმოქმედმა ილია წინამძღვრიშვილმა სოფელ წინამძღვრიანთკარში, საკუთარ მამულში, თავისი სახსრებითა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებისა და ილია ჭავჭავაძის თანადგომით გახსნა.

კოლეჯს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი – იყო სკოლა, სასწავლებელი, ტექნიკუმი. 2014 წელს მას ეწოდა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი. დღეისათვის სწავლა მიმდინარეობს 31 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, როგორც აგრარულ, ასევე ყველა იმ სპეციალობაზე, რომლებიც აქტუალურია მცხეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის.

კოლეჯს აქვს 8 მომზადება-გადამზადების პროგრამა სხვადასხვა პროფესიის ზრდასრული ადამიანებისათვის. სტუდენტთა მეტი ხელშეწყობისათვის კოლეჯი რეგიონის 4 მუნიციპალიტეტში – მცხეთა, სტეფანწმინდა, დუშეთი და თიანეთი – ახორციელებს სასწავლო პროგრამებს თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის შრომის ბაზრის შესწავლა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, სასწავლო პროგრამები შედგენილია დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია პრაქტიკულ უნარებზე.

კოლეჯი მაქსიმალურად ზრუნავს თითოეულ სტუდენტზე და ქმნის მათზე მორგებულ გარემოს, სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს ევროპის წამყვან ქვეყნებში: გერმანიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და ჩეხეთში. გაცვლით პროგრამებში კოლეჯის არაერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა და წარმატებით დაასრულა სწავლა.

კოლეჯში ფუნქციონირებს ახალგაზრდული კლუბი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას, თავად შექმნან და განახორციელონ პროექტები. კლუბის წევრები მუდმივად გეგმავენ სასწავლო, შემეცნებით და გასართობ აქტივობებს.

კოლეჯში ფუნქციონირებს ასევე კარიერული მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც აცნობს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ სამუშაო შესაძლებლობებს, ეხმარება რეზიუმეს, სამოტივაციო წერილისა და ინტერვიუების მომზადებაში. აღნიშნული სამსახური დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს მოძიებისა და დასაქმების საკითხებში. კოლეჯი კურსდამთარებულებულთა დასაქმებისთვის თანამშრომლობს სახელმწიფო და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
მცხეთა, სოფ. წინამძღვრიანთკარი	577 21 50 90	tmkcollege@tmk.edu.ge

პროფესიულ-სავანმანათლებლო პროგრამები

- აღმზრდელი (წინამძღვრიანთკარი);
- ბუღალტრული აღრიცხვა (წინამძღვრიანთკარი);
- ელექტროობა (წინამძღვრიანთკარი);
- ვეტერინარია (წინამძღვრიანთკარი);
- თმის მომსახურება (წინამძღვრიანთკარი);
- ინფორმაციის ტექნოლოგია (წინამძღვრიანთკარი);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (წინამძღვრიანთკარი);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული) (წინამძღვრიანთკარი);
- კულინარიის ხელოვნება (წინამძღვრიანთკარი);
- მებაღეობა (წინამძღვრიანთკარი);
- მებოსტნეობა (წინამძღვრიანთკარი);
- მევენახეობა და მეღვინეობა (წინამძღვრიანთკარი);
- მეფუტკრეობა (წინამძღვრიანთკარი);
- მეხილეობა (წინამძღვრიანთკარი);
- მეხილეობა (ინტეგრირებული) (წინამძღვრიანთკარი);
- რძის პროდუქტების წარმოება (წინამძღვრიანთკარი);
- სამკერვალო წარმოება (წინამძღვრიანთკარი);
- სასმელების წარმოება (წინამძღვრიანთკარი);
- სასტუმროს მომსახურება (ინტეგრირებული) (წინამძღვრიანთკარი);
- სატყეო საქმე (წინამძღვრიანთკარი);
- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება (წინამძღვრიანთკარი);
- ხის მხატვრული დამუშავება (წინამძღვრიანთკარი);
- ღონისძიების ორგანიზება (წინამძღვრიანთკარი);
- ღონისძიების ორგანიზება (ინტეგრირებული) (წინამძღვრიანთკარი);
- ბუღალტრული აღრიცხვა (სტეფანწმინდა);
- ელექტროობა (სტეფანწმინდა);
- სასტუმროს მომსახურება (სტეფანწმინდა);
- ბუღალტრული აღრიცხვა (თიანეთი);
- ინფორმაციის ტექნოლოგია (თიანეთი);
- მეფუტკრეობა (თიანეთი);
- რძის პროდუქტების წარმოება (თიანეთი);
- სატყეო საქმე (თიანეთი);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (თიანეთი);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული) (თიანეთი).

პარტნიორი ორგანიზაციები

სს ენერგო-პრო ჯორჯია
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი
შპს „მექანიზატორი“
შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“
შპს „ქართული ხილის კომპანია“
შპს „კუტიურიე ი.მ.ს.“
შპს „სამკერვალო მაუდი“
შპს „ჰასკო +“
შპს „უნიფორმა და უსაფრთხოება“
ფიზიკური პირი ნუკრი მახარაშვილი (მეფუტკრე)
ფიზიკური პირი დავით მოსიაშვილი (მეფუტკრე)
ინდმეწარმე ირმა გუბელაძე
ინდმეწარმე ხათუნა კოშაძე
ინდმეწარმე ლია მანჯგალაძე
ინდმეწარმე ჟანეტა გაგილაძე
დაცული ტერიტორიების სააგენტო
სასტუმრო LM Club
სასტუმრო „სიმპათია“
ფიზიკური პირი ზურაბ ბორცვაძე
„ზერო ვაინ ბარი“
„ტიფლისი“
საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაცია
ფიზიკური პირი სულიკო სინაძე
ფიზიკური პირი ზაქარია სინაძე.
შპს „ელსელემა“
ინდმეწარმე ანი პარკაული
რაიონული კოოპერატივი „დვალეთი“
შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
შპს „აგრომოტორსი“
შპს „ენ ჯი ეს გრუპი“
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
შპს „ელ აუდიტი“
ფიზიკური პირი დავით ალექსიძე (მეხილე)
ფიზიკური პირი ეკატერინე ღრუბელაძე (მეხილე)
შპს „ჩვენი ფერმერი“
შპს „ქართული რძის პროდუქტები“
შპს „რესპუბლიკა“
დაბა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია
ფიზიკური პირი ომარ ქუცნაშვილი (მეხილე)
ფიზიკური პირი თამარ ღანიშაშვილი (მეხილე)
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – რკ „ყვარის მთა“
ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლა
კოოპერატივი „მთია“
ამხანაგობა „თიანეთი“
„ტრიო თბილისი“
„გერმანული პაბი“
„ჩიჩო აკადემია“
„ნიუ ვეტი“
„ჩინებული“
„ქართული ლეგენდა“
„გსქ კულა“
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „წილკანი“
ფიზიკური პირი ვლადიმერ გამყრელიძე
ინდმეწარმე თამრიკო ჩონიაძე
ფიზიკური პირი ზაზა ოთარაშვილი
ფიზიკური პირი გურამ ჯოჯიშვილი
ინდმეწარმე ინდირა ცინდელიანი
შპს „ელ აუდიტი“
ამხანაგობა „თიანეთი“
შპს „ქართული რძის პროდუქტები“
შპს „ჩვენ ფერმერი“
შპს „რესპუბლიკა“
შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“
ინდმეწარმე იაგო ბიტარიშვილი
შპს „ქართული ლიმონათი“

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ფუნქციონირებს 2007 წლიდან. სწავლება ხორციელდება სამი მიმართულებით: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამები, ზრდასრულთა პროფესიული მომზადების პროგრამები და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები .

2021 წლის დასაქმების მაჩვენებელი 100%-ია. ჩვენი მისიაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით/გადამზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის/გამოყენების ხელშეწყობა. კოლეჯი მისიის შესრულებისას ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს: მაღალი პროფესიონალიზმი და უწყვეტი პროფესიული განვითარება; აკადემიური და პიროვნული განვითარების თავისუფლება; თანამშრომლობა და გუნდურობა; განათლების ინკლუზიურობა; გამჭვირვალობა და სამართლიანობა.

ხედვა – 2030 წლისთვის კოლეჯი წამყვანი დაწესებულებაა IT-განათლების მიმწოდებელთა შორის, საჯარო და კერძო სექტორის დამსაქმებლებისთვის. 2019 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნომინაციაში კოლეჯმა „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ გაიმარჯვა და წლის საუკეთესო კოლეჯი გახდა. პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსის „წლის პროფესიული განათლების სტუდენტის“კატეგორიაში გამარჯვებული გახდა ვებინტერფეისის დეველოპერის პროგრამის პროფესიული სტუდენტი ნიკოლოზ წიკლაური. კოლეჯის ბაზაზე ფუნქციონირებს CISCO-აკადემია. Cisco Networking Academy Netriders-ის კონკურსში ათეულში მოხვდა ჩვენი აკადემიის ოთხი სტუდენტი. ნოდარ ჭანკოტაძეს კი გადაეცა სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის ვაუჩერი.

კოლეჯის პროფესიული სტუდენტები პერიოდულად მონაწილეობენ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. კოლეჯი თანამშრომლობს ესტონურ ფონდ INNOVE-სთან. კოლეჯში ტარდება შიდა ოლიმპიადები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და გამარჯვებული პროფესიული სტუდენტები ჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით. ასევე, პროფესიული სტუდენტების ინიციატივით იმართება სპორტული შეჯიბრებები. აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ბაზარზე პარტნიორ კოლეჯებთან, გვაქვს ვიზიტები, ონლაინ შეხვედრები („ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ 2022 წლის 6 აპრილს სტუმრად იმყოფებოდნენ ესპანეთის ქალაქ სარაგოსას სახელმწიფო კოლეჯის, CPIFP Los Enlaces-ის წარმომადგენლები). ვმუშაობთ გაცვლითი პროგრამების შემუშავების პერსპექტივებსა და საერთო პროექტების განხორციელებაზე.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
თბილისი, ფანჯიკიძის N3	**+995 (32) 2 200 220 (5055)**	**info@itvet.ge**

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (მოდულური პროგრამა);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური პროგრამა და ინტეგრირებული პროგრამა);
- ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური პროგრამა);
- ვებტექნოლოგიები (მოდულური პროგრამა და ინტეგრირებული პროგრამა).

პარტნიორი ორგანიზაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სოციალური მომსახურების სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სახლი

იუსტიციის სამინისტრო სსიპ „სმარტლოჯიქი“

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS)

სსიპ კასპის კოლეჯი

ქალაქი კასპი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაციას კოლეჯის შესახებ

სსიპ კასპის კოლეჯი 2020 წლის 25 მარტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების გზით მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფუძნდა.

თითქმის ერთწლიანი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ კასპის პროფესიულ კოლეჯში პირველი სასწავლო წელი 2021 წლის 15 ნოემბერს დაიწყო. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო ინვენტარითა და მანქანა-დანადგარებით აღჭურვილმა შენობამ პირველ სასწავლო წელს 200-მდე სტუდენტს უმასპინძლა. გარდა კეთილმოწყობილი აუდიტორიებისა, კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებულია: სახელოსნოები, სასათბურე მეურნეობა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია. სტუდენტებისთვის მოწყობილია გასართობი სივრცე. შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ-პირების საჭიროებებზე.

პირველი საგანმანათლებლო პროგრამები ადგილობრივი ბაზრის კვლევითა და მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩა. ამ ეტაპზე კოლეჯი 10 გრძელვადიან საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. გარდა ამისა, კოლეჯში მიმდინარეობს სწავლა შემდეგ მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებზე: 1. სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში; 2. რეგიონალური ტურისტული მეგზური; 3. ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება; 4. მაკიაჟის შესრულება; 5. ქალის ტანსაცმლის კერვა; 6. ხელით ელექტრორკალური შედუღება.

სწავლების პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ტარდება სასწავლო ვიზიტებიც, რომლების ფარგლებშიც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაიზიარონ ექსპერტების გამოცდილება და ადგილზე გაეცნონ მომავალ საქმიანობას.

კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს როგორც კერძო, ასევე არასამთავრობო სექტორთან. გარდა კარიერული მხარდაჭერისა, კოლეჯი სტუდენტებს საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებასაც სთავაზობს. კოლეჯში ფუნქციონირებს ტექნოლოგიური კლუბი. სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად ტარდება სხვადასხვა სპორტულ-გასართობი ღონისძიებები.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. კასპი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N168 ვ.	0706 55 55 55	info@kc.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული);
- ელექტროობა;
- ვიზაჟის მომსახურება;
- სამკერვალო წარმოება;
- მებოსტნეობა;
- შედუღება;
- იატაკისა და ფილის სამუშაოები;
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
- სამღებრო სამუშაოები.

პარტნიორი ორგანიზაციები

„კნაუფ გიპს თბილისი“
კასპის ტექნოპარკი
„გოდოლი“
Usaid zrda
ორგანიზაცია „კომლი“
გზაჯვარედინი
საქართველოს ტურიზმის ასოციაცია
საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG)
საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“

ქალაქი ზესტაფონი, იმერეთის რეგიონი

ინფორმაციას კოლეჯის შესახებ

2017 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სამშენებლო კომპანია „ბიქეი ქონსთრაქშენის“ თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა კოლეჯი „კონსტრუქტ2“, რომელიც მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნასა და კვალიფიციური კადრების მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრას.

კოლეჯი ორიენტირებულია ქვეყანაში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლასა და საერთო საცხოვრებლით სარგებლობას აფინანსებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

„კონსტრუქტ2“ ახორციელებს როგორც პროფესიული მომზადების პროგრამებს სამშენებლო მიმართულებით, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროგრამა 4.5-თვიანია და ორი ეტაპისგან შედგება: თეორიული და პრაქტიკული სწავლება კოლეჯის ბაზაზე და ანაზღაურებადი საწარმოო პრაქტიკა „ბიქეი ქონსთრაქშენის“ ობიექტებზე. უკვე გადავამზადეთ 300-მდე სტუდენტი და მათი 60% ბიქეი ქონსთრაქშენშია დასაქმებული. წელს პირველად გვყავს ქალი სტუდენტები მექარგილისა და მეარმატურის პროგრამებზე.

2019 წლიდან კოლეჯი გასცდა სამშენებლო მიმართულებას და დაიმატა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, რომლებიც ასევე წარმატებით ხორციელდება. პირველი გამოსაშვები ჯგუფის წევრთა უმრავლესობა დასაქმდა ჩვენს პარტნიორ კომპანიებში.

კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობადობის გაზრდაა. სწორედ პროფესიული განათლების მიმართულებით გამართულ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების 19-ე საერთაშორისო კონფერენციაზე „კავშირი ადამიანებს შორის“ „კონსტრუქტ2“ დასახელდა საჯარო და კერძო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითად.

მისამართი

ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. N28

საკონტაქტო ტელეფონი

0322 42 44 43

ელექტრონული ფოსტა

info@constructor2.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამები:

- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული პროგრამა);
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები.

მოკლევადიანი (მომზადების) პროგრამა:

- მებათქაშის საქმე.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“
შპს „რეგისი“
სს „საქკაბელი“
შპს „ჯორჯიან მარგანეზი“
შპს „ფერომედი“
შპს „პრაიმ ბეტონი“
შპს „ინსი“
შპს „კოსი – კონცეფთ ოფ სეიფთი“
ა(ა)იპ საქართველოს შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაცია
ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია



სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

ქალაქი ჯვარი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი დაფუძნდა 2007 წელს პროფესიული სწავლების ცენტრად. 2011-2019 წლებში ფუნქციონირებდა, როგორც პროფესიული კოლეჯი, 2019 წლიდან კი ის სსიპ კოლეჯი „ლაკადაა“.

კოლეჯი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის მოსაზღვრე ტერიტორიასთან ახლოს და ორიენტირებულია რეგიონის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და დაინერგა სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები. დღეისათვის კოლეჯს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროგრამები სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, მომსახურების, სამრეწველო წარმოების, ბიზნესის ადმინისტრირების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მშენებლობის წარმოების მიმართულებით ხორციელდება კერძო სექტორთან თანამშრომლობით. კოლეჯი მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და დასაქმებას.

მისამართი

ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2

საკონტაქტო ტელეფონი

595 50 66 32

ელექტრონული ფოსტა

ssipjvari@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი:

- ელექტროობა (მესამე დონე);
- ელექტროობა (მეოთხე დონე);
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- სამკერვალო წარმოება;
- საფინანსო სერვისები;
- მეხილეობა (მეოთხე დონე);
- კულინარიის ხელოვნება;
- იატაკისა და ფილის სამუშაოები;
- კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება);
- ხის მხატვრული დამუშავება;
- შედუღება.

მოკლევადიანი:

- ქალისა და მამაკაცის შარვლის კერვა;
- შიდა ელექტრო გაყვანილობის მემონტაჟე;
- ელექტრო დანადგარების მონტაჟი და მომსახურება;
- ლურჯი მოცვის გაშენება-მოვლა.

პარტნიორი ორგანიზაციები

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
შპს „ენგურჰესი“
შპს „სკურჰესი“
ი/მ გიორგი შონია
შპს „ქალაქმშენსერვისი“
შპს „ევრა 2020“
შპს „პირამიდა 1“
შპს „ზანგო 2015“
შპს „პლაზმა“
შპს „ორდუნეტი“
შპს „ბესტ კოპი“
ფერმერი რევაზ პაჭკორია
რ/კ „აგრო ლია 2014“
სს „გეოფრეში“
შპს „გემუანი“
სს „ლიბერტი“
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“
შპს „ალტასოფთვეარი“
ი/მ თეა ფიფია
რესტორანი „მონოპოლი“
შპს „გარდენ პალასი“
შპს ზუგდიდის ქალაქური „მენძელი“
ი/მ მამუკა ჩართია
ი/მ ომარ კიკალია
შპს „ზურაბ მარკოზია“
ი/მ ლევან ერგედავა
ი/მ მირიან წურწუმია



ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

2012 წელს ქ. თბილისში არსებული 4 პროფესიული სასწავლებლის რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისი“. არსებობის 10 წლის მანძილზე კოლეჯმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

სასწავლებელი 23 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. წლის განმავლობაში კოლეჯში 1600-მდე სტუდენტი/მსმენელი სწავლობს. ყველა სპეციალობაზე ჩარიცხვა ხდება კონკურსის წესით. სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა 12 კლასის ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

კოლეჯი ასევე ახორციელებს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს, სადაც მსმენელებს საშუალება ეძლევათ, მოკლე დროში დაეუფლონ სასურველ პროფესიას.

კოლეჯი „მერმისი“ აქტიურად არის ჩართული სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში“ და მსურველებს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიულ პროგრამებს.

კოლეჯი თბილისისა და რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების საზოგადოებაში რესოციალიზაციის მიზნით. სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს კი სთავაზობს არაფორმალური განათლების მოკლევადიან სასერტიფიკატო კურსებს, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შემდგომი დასაქმების მიზნით.

„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში კოლეჯი „მერმისი“ თბილისის 20-ზე მეტ საჯარო სკოლაში მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეებისთვის ახორციელებს პროფესიული უნარების სასერტიფიკატო კურსებს.

სსსმ და შშმ პირებისათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისათვის კოლეჯში შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით. ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ჩართულია სსსმ და შშმ პირების მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2015 წელს ევროპული განვითარების ფონდმა (ETF) კოლეჯ „მერმისის“ მაგალითზე ინკლუზიური პროფესიული განათლება საუკეთესო, ინოვაციურ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პირველ წარმატებულ ინიციატივად დაასახელა.

2017 წელს ესტონელი ექსპერტების მხრიდან კოლეჯმა მაღალი შეფასება მიიღო. მათ „მერმისი“ სანიმუშო კოლეჯად დაასახელეს და მისი ძლიერი მენეჯმენტი აღიარეს.

2018 წელს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018-ის გამარჯვებული – წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გახდა.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ „2018 წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით“ დაჯილდოვდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ.

2019 წელს კოლეჯის სტუდენტი ხატია ნადარეიშვილი დასახელდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018-ის გამარჯვებულად – წლის პროფესიულ სტუდენტად.

2021 წელს კოლეჯის პედაგოგი ივანე ჩუტკერაშვილი დასახელდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2021-ის გამარჯვებულად – წლის პროფესიული განათლების მასწავლებლად.

2018 წელს თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლეჯმა ურთიერთობა დაამყარა გერმანიის სტუმართმასპინძლობის ინსტიტუტთან, ესტონეთის ქ. ტალინის სამშენებლო სკოლასთან და ლატვიის ქ. შაულაის საბითუმო და საცალო ვაჭრობის პრაქტიკულ სასწავლო ცენტრთან.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი N9ა	+995 (32) 214 76 63	nona_gudushauri@mermisicollege.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება

- თმის მომსახურება – 10 თვე;
- მომინანქრება – 12 თვე;
- ელექტროობა – 9 თვე;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი – 11 თვე;
- კულინარიის ხელოვნება – 15 თვე;
- კონდიტერია – 16 თვე;
- სამკერვალო წარმოება – 19 თვე;
- მხატვრული ქსოვა – 16 თვე;
- ხის მხატვრული დამუშავება – 16 თვე;
- ძრავის შეკეთება – 11 თვე;
- სავალი ნაწილის შეკეთება – 11 თვე;
- იატაკისა და ფილის სამუშოები – 5 თვე;
- თექის დამზადება – 16 თვე;
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება – 19 თვე.

მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება

- საოფისე საქმე – 11 თვე;
- გრაფიკული დიზაინის შესრულება – 18 თვე.

მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებია ინტეგრირებული:

დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება

- სარესტორნო მომსახურება – 3 წელი;
- სასტუმრო მომსახურება – 3 წელი;
- გრაფიკული დიზაინის შესრულება – 3 წელი.

პარტნიორი ორგანიზაციები

სს სასტუმრო „შერატონი“
შპს „ჰილტონი“
შპს „გლობალფუდი“
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
შპს „ანაბეჭდი“
შპს „პრემიერ მოტორსი“
შპს „დოქტორს გუდსი“
შპს „დაბი ჯგუფი“
სასტუმრო „ბილთმორ თბილისი“
შპს „ელექსირი“
შპს „არტ-გალერეა მეგზური“
შპს „სალი“
შპს „ძველი ქალაქი“
სს „გუდვილი“
შპს „ელსელემა“
შპს „დასტა რეკორდს მენეჯმენტი“
შპს „მოდერნ ვილა“
შპს „მეგადორსი“
შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“
სასტუმრო „ბილთმორი“
შპს „ელიტ მოტორსი“
სასტუმრო „ჰუალინგი“
სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“
შპს „მეგობრობა“
შპს „თეგეტა მოტორსი“
შპს „მარშე“

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

რუსთავი-მარნეული, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაციე კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯია, რომელიც პროფესიულ სადიპლომო და სახელმწიფო სასერტიფიკატო კურსებს რუსთავსა და მარნეულში ახორციელებს.

„მოდუსის“ ისტორია 1958 წლიდან იწყება. ამ პერიოდიდან ფუნქციონირებდა სახელობო სასწავლებელი ქალაქ რუსთავში. 1975 წელს სასწავლებელს, იურიდიულ მისამართთან ერთად, შეეცვალა სტატუსი და მოიაზრებოდა, როგორც მეტალურგიული ქარხნის საბაზო სასწავლებლი. 1987 წელს, მეტალურგიის სფეროდან გამოყოფის შემდეგ, მას ქ.რუსთავის მე-3 პროფესიული სასწავლებელი დაერქვა.

2016 წლიდან კოლეჯს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებითა და ახალი პროგრამებით. 2021 წლიდან კოლეჯმა მარნეულშიც დაიწყო ფუნქციონირება, სადაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით ახორციელებს პროგრამებს.

„მოდუსი“ პირველი კოლეჯია, რომელიც ბიზნეს-ვოთსაფის დახმარებით, სწავლით დაინტერესებულ პირებს კარიერულ და პროფორინტაციულ სერვისს უწევს. ვოთსაფი მიბმულია ფეისბუქ-გვერდზე და სამუშაო საათებში ნებისმიერ მსურველს ონლიან კონსულტაციის გავლა შეუძლია.

კოლეჯმა პოზიციონირება დაიწყო tiktok-პლატფორმაზეც, სადაც 3 თვეში ძალიან კარგი შედეგები მივიღეთ.

2020-2021 წლებში კოლეჯ „მოდუსის“ სტუდენტებმა, ლატვიის ქალაქ დაუგავპილსის ტექნიკური კოლეჯის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ონლაინ სპორტულ შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა. 2020 წელს 3-დღიანი ონლაინ სპორტული შეჯიბრი საქართველოს, ლატვიისა და მოლდოვას კოლეჯებს შორის გაიმართა, ხოლო 2021 წელს ღონისძიებაში 7 ქვეყნის (ლატვია, ლიეტუვა, საქართველო, პოლონეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ესპანეთი) 8 კოლეჯი იღებდა მონაწილეობას.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას ქ. N4 **ქ. მარნეული, იაღლუჯის ქუჩა** **(სოკარის ოფისის წინ)**	0341252041 / +995 577408734	Info@modusi.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

სადიპლომო პროგრამები რუსთავში

- ელექტროობა;
- შედუღება;
- მებაღეობა;
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
- კომპიუტერული ქსელები და სისტემები;
- აღმზრდელი;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება;
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- თმის მომსახურება;
- სამკერვალო წარმოება.

მოკლევადიანი

- ელექტროობა;
- შედუღება;
- ელექტრო დანადგარებისა და ელექტრო მოწყობილობების ელექტრიკოსი;
- ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა;
- მამაკაცის ზედა პერანგისა და შარვლის კონსტრუირება-კერვა;
- დეკორატიულ მცენარეთა სხვლა-ფორმირება;
- პრაქტიკული ბუღალტერია – საბუღალტრო პროგრამა ORIS.

სადიპლომო პროგრამები მარნეულში

- ელექტროობა;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
- მებოსტნეობა;
- ბუღალტერული აღრიცხვა;
- აღმზრდელი
- მეხილეობა (ინტეგრირებული).

მოკლევადიანი

- ქართულენოვანი ტურისტული მეგზური.



პარტნიორი ორგანიზაციები

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

შპს „რუსთავის ფოლადი“

სს „რუსთავის აზოტი“

შპს „ნოვა“

შპს „რუსთავის წყალი“

შპს „რუსელოისი“

შპს „უნი მოტორსი“

შპს „ომეგა“

შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია

შპს ატომელექტრონიქსი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

ააიპ ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი

სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

შპს maika.ge

შპს Rustavi Fashion Studio

შპს „იასამანი“

შპს „ბილდმორი“

შპს „ჯი ბი ჯი“

შპს „ბაჩურა“

შპს „მარიამი 93“

შპს „ელექტრონ 011“

ი.მ მარიამ მათურელი

ი.მ გიორგი ბარამიძე

შპს „არიში“

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

ქალაქი ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ინფორმაციას კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ქ. ახალციხეში. დაარსდა 1977 წელს. პროფესიული სასწავლებელი წარმატებით ასრულებს მთავრ მისიას – მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. სასწავლო და საწარმოო გარემოს შექმნაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის გაეროს განვითარების პროგრამასა და სხვა დონორ ორგანიზაციებს. კოლეჯი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. აგებულია სტანდარტული პანდუსი, ლიფტი და ა. შ.

კოლეჯში 29 ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაა. გრძელვადიან პროგრამებთან ერთად კოლეჯი ახორციელებს კერძო პირების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვეთით მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსებსაც.

ინოვაციური იდეების განხორციელების მიზნით, შეიქმნა „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია“. იგი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ეხმარება ყველა პროფესიის სტუდენტს იდეების რეალიზაციაში. ინფორმაციული ტექნოლოგიის კაბინეტში დამონტაჟებულია სმარტ-დაფა.

კოლეჯში ფუნქციონირებს საერთაშორისო ამერიკული ciscos-აკადემია და ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია მატერიალური და ელექტრონული წიგნადი ფონდით.

„ოპიზარი“ მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის ამაღლებაზე. აქტიურად მონაწილეობს საქართველოში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროგრამებში. 2016 წელს კოლეჯმა ერთ-ერთმა პირველმა გაიარა პროფესიული განათლების სივრცეში ხარისხის მართვის/მენეჯმენტის ევროპული მოდელის, EFQM-ის (გზა სრულყოფისაკენ) ვალიდაცია.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ქართულ და უცხოურ პროფესიული განათლების დაწესებულებებთან. მათ შორის აღსანიშნავია ესტონეთის ქ. ტალინის „სამშენებლო სკოლა“.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. N111	577 200 730	opizari2011@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი პროგრამები:

- ელექტროობა(IV დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 13 თვე;
- შედუღება (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 7 თვე;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 11 თვე;
- სამკერვალო წარმოება (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 18 თვე;
- წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაცია (IV დონე) – დუალური; სწავლის ხანგრძლივობა – 18 თვე;
- წყალარინების სისტემის ექსპლუატაცია (IV დონე) – დუალური; სწავლის ხანგრძლივობა – 18 თვე;
- ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 13 თვე;
- ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი (III დონე) – დუალური, სწავლის ხანგრძლივობა – 18 თვე;
- იატაკისა და ფილის სამუშაოები (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 15 თვე;
- საავტომობილო გზების მშენებლობა (III დონე) – დუალური, სწავლის ხანგრძლივობა – 18 თვე;
- სატყეო საქმე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით (IV დონე) – მოდულური; სწავლის ხანგრძლივობა – 36 თვე;
- სატყეო საქმე (IV დონე) – მოდულური; სწავლის ხანგრძლივობა – 9 თვე;
- ვეტერინარია (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) – მოდულური; სწავლის ხანგრძლივობა – 22 თვე;
- ფერმერობა – (IV); სწავლის ხანგრძლივობა – 17 თვე;
- თმის მომსახურება (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 11 თვე;
- კულინარიის ხელოვნება (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 16 თვე;
- საბაჟო საქმე (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) – მოდულური; სწავლის ხანგრძლივობა – 17 თვე;
- აგრომექანიზაცია – (IV); სწავლის ხანგრძლივობა – 17 თვე;
- ვებტექნოლოგიები (IV დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 12 თვე;

- ხის მხატვრული დამუშავება (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 16 თვე;
- საოფისე საქმე (IV დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 11 თვე;
- საფინანსო სერვისები (III დონე) – მოდულური, სწავლის ხანგრძლივობა – 10 თვე;
- სასტუმრო მომსახურება (დუალური) – (IV); სწავლის ხანგრძლივობა – 18 თვე;
- ბუღალტრული აღრიცხვა – (V); სწავლის ხანგრძლივობა – 18 თვე;
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი – (III); სწავლის ხანგრძლივობა – 11 თვე;
- ფრჩხილის მომსახურება – (III); სწავლის ხანგრძლივობა – 10 თვე.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს სასტუმრო „ლომსია“

შპს „კორომი“

შპს „ლაზარე“

საოჯახო სასტუმრო „თბილი სახლი“

შპს „მატერია“

ინდმეწარმე გიორგი პეტაშვილი

სილამაზის სალონი

ინდსაწარმო „ხის დამამუშავებელი“

შპს სავაჭრო ცენტრი „ახალციხე“

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანო

ინდმეწარმე მამუკა ხმალაძე

შპს „სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“

ინდსაწარმო „სამკერვალო სალონი“

შპს „ორიენტირი“

შპს „მესხმშენპროექტი“

შპს „ვეტაფთიაქი“

შპს „ნეო-პროჯექტი“

სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო ს/ჯ რეგიონული ფილიალი

ვეტდიაგნოსტიკური ლაბორატორია

შპს „ნადათი“

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

ნამცხვრისა და პიცის სახლი SI Company

შპს „მესხეთი“

სამხრეთის ფილიალის მაღალი ძაბვის ქვესადგურების ექსპლუატაციის ქვეგანყოფილება

შპს „იმპერია“

სსიპ ასპინძის საჯარო სკოლა

სსიპ ახალციხის N2 საჯარო სკოლა

შპს „მესხეთის მეფრინველეობა“

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

სსიპ ახალციხის N5 საჯარო სკოლა

ინდმეწარმე მირიან დევნოსაძე

შპს „საქართველოს ურბან ენერჯი“ ფარვან ჰესი

სს. ენერგო-პრო ჯორჯია

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ს/ჯავახეთის რეგ.ფილიალი, ახალციხის სერვის ცენტრი

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ს/ჯავახეთის რეგიონული ფილიალი

ხორბლის გადამამუშავებელი საწარმო

შპს „კეთილმოწყობა“

შპს „მესხეთ-პროდაქტი“

სსიპ ახალციხის N6 საჯარო სკოლა

შპს „გეოფლაუერი“ მცენერეების დამამზადებელი

შპს „ტაოფუდი“

სს ენერგო-პრო ჯორჯია, სამხრეთ საქართველოს ასპინძის მომსახურების ცენტრი

სს ენერგო-პრო ჯორჯია, სამხრეთ საქართველოს ახალციხე-ადიგენის მომსახურების ცენტრი

შპს „თაზო“

შპს „კუშა -2011“

შპს „ირქა“

ინდმეწარმე გიორგი ზედგინიძე

სს ენერგო პრო ჯორჯია, სამხრეთ საქართველოს ბორჯომის მომსახურების ცენტრი

სამცხე/ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთ.სამმართველოს ქ. ახალციხის სახანძრო სამაშველო სამმართველო

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო ს/ჯ. სატყეო სამსახური

შპს „სამცხე-2012“

სასტუმრო „ტიფლისი“

მიკრო მეწარმე გურამ კაჭკაჭაშვილი

რ.კ. „მესხი მეფუტკრე“

შპს „ახალციხის საკალმახე მეურნეობა“

საკალმახე მეურნეობა

კოოპერატივი კოდი(ფუტკარი)

ქართული „ნექტარი“

სსიპ ახალციხის N1საჯარო სკოლა

სსიპ ახალციხის N3 საჯარო სკოლა

შპს „ბიგფიშ“

ინდსაწარმო პურის საცხობი

შპს „საღიღინო“

შპს „ზეკარი“

ააიპ ახალციხის ციხე

მიკრო მეწარმე სამველ მათევოსიანი

ნოვატორი ფერმერი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

ვეტერინარული კლინიკა „დადუ“

სამცხე-ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია

შპს „ახაშენი“

შპს „მესხეთ-ავტოგზა“

შპს „არალი“

შპს საგზაო სამშენებლო სამმართველო

საქართველოს ბიზნეს განვითარების ცენტრი „კავკასია“

რესტორანი „ტყუპები“

შპს „ახალციხე აგრო ფუდი“

შპს „თი ენდ თი კორპორეიშენ“

სს „კრედო ბანკის“ ახალციხის სერვისცენტრი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ახალციხის ფილიალი

ფერმერი მანუჩარ ზედგინიძე

ფერმერი მანუჩარ თორდუა

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

ქალაქი თელავი, კახეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ ერთ-ერთი გამორჩეული პროფესიული სასწავლებელია კახეთის რეგიონში.

კოლეჯი უზრუნველყოფს მრავალპროფილური, პროფესიული განათლებით, სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით, ევროპულ-დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისთვის.

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ თელავის „დავით ციციშვილის სახელობის ხალხური რეწვის პროფესიული ლიცეუმის“, თელავის „სასოფლო-სამეურნეო პროფესიული სასწავლებლის“ და თელავის „ტექნიკური კოლეჯის“ საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. ის აღნიშნული სასწავლებლების ბაზაზე დაფუძნდა 2007 წელს, 2011 წლიდან კი პროფესიული კოლეჯი ჩამოყალიბდა სსიპ პროფესიულ კოლეჯად – „პრესტიჟი“. 2019 წლიდან ის ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟია“.

ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, კოლეჯი საკმაოდ კონკურენტუნარიანია კახეთის რეგიონში და აქვს განვითარების დიდი პოტენციალი. აღნიშნული უპირატესობა გადამწყვეტია მისი შემდგომი განვითარებისთვის.

კოლეჯს დამყარებული აქვს პარტნიორული ურთიერთობები როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში. აღსანიშნავია ERASMUS + გაცვლითი პროგრამა პოლონეთსა და ლიეტუვაში; ასევე, პედაგოგების გადამზადების პროგრამა გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახის პროფესიული სკოლის „კარლ არნოლდ შულეს“ ბაზაზე.

კოლეჯს აქვს სრულად რეაბილიტირებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ძირითადი სასწავლო კორპუსი, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. დაგეგმილია გარე სახელოსნოების (სამშენებლო, ავტოშეკეთება) და სტუდენტური საერთო საცხოვრებლის აშენება-მოწყობა.

მისამართი

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა, N1

საკონტაქტო ტელეფონი

+995 577 50 49 99

ელექტრონული ფოსტა

telavi.prestige@gmail.com



პროფესიულ-სამეცნიერო პროგრამები

- საოფისე საქმე;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
- სატყეო საქმე;
- კულინარიის ხელოვნება;
- კონდიტერია;
- სასტუმრო მომსახურება;
- ელექტროობა;
- მხატვრული ქსოვა;
- თმის მომსახურება;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული მიდგომით);
- მევენახეობა-მეღვინეობა (დუალური მიდგომით).

მოკლევადიანი პროგრამები:

- კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა – პროფესიული მომზადების პროგრამა;
- ვაზის სხვლა-ფორმირება – პროფესიული მომზადების პროგრამა;
- ვენახის გაშენება და აგროტექნოლოგია – პროფესიული მომზადების პროგრამა;
- ხე-ტყის დამზადება და ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები – პროფესიული გადამზადების პროგრამა.

უახლოეს მომავალში კოლეჯი დაიმატებს პროფესიული მომზადების პროგრამას „მარნის ჰიგიენა და ღვინის სარეალიზაციოდ მომზადება“ და პროფესიული გადამზადების პროგრამას „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს ღვინის კომპანია „შუმი“

სს „თელავის ღვინის მარანი“

შპს „კახური“

შპს „მეღვინეობა ხარება“

შპს „ვაზისა და ღვინის ჯგუფი“

შპს GWS („ქართული ღვინის და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“)

შპს ღვინის კომპანია „ბესინი“

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“ ღვინის კომპანია / რესტორანი

ი/მ თინათინ ღვინიაშვილი „მეიდანი“

შპს „ბრავო“ კაფე-რესტორანი

შპს „შატო მერე“ სასტუმრო / რესტორანი

შპს „ლოპოტა“ სასტუმრო / რესტორანი

შპს „კაპილონი“ რესტორანი

შპს „ვილლა იყალთო ჰო-რე-კა“

შპს „შატო ყვარელი“

შპს „ელგი“ (სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი)

შპს „ბუნებრივი აირი“ (სასტუმროების ქსელი)

შპს „სასტუმრო თელავი“ (ჰოლიდეი ინნ)

ი/მ გია სიმონიშვილი (საკონდიტრო „აისი“)

ი/მ ბადური ჭყოიძე (საკონდიტრო „გემარტი“)

ი/მ თამარ ლაჩაშვილი (საკონდიტრო „კარამელი“)

ი/მ ნათელა ურჩუხიშვილი (საკონდიტრო „მალინა“)

შპს „საბა“ (კვების ობიექტი)

ი/მ ირაკლი გემაზაშვილი (კომპიუტერების შემკეთებელი სახელოსნო)

შპს SKYTEL

შპს „სერვის ნეტ გრუპი“ (კომპანია „სილქნეტი“)

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ი/მ ნინო ჭავჭანიძე, სილამაზის სალონი „ამიგა“

ი/მ ზიზი გაგნიძე, სილამაზის სალონი „ნელიკო“

მიკრო მეწარმე მანანა პაპაშვილი, სილამაზის სალონი „მანანა“

მცირე მეწარმე მაია გოქაძე, სილამაზის სალონი „ენ-ენდ-ემი“

ი/მ ბელა ლაჩაშვილი, სილამაზის სალონი „ბელა“

სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი

თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“

სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“

შპს „ნაკარალი“ (სატყეო საქმე)

თელავის მუნიციპალიტეტის მერია

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

სსიპ მეფე ერეკლე II-ის სახელობის ქალაქ თელავის N1 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ თელავის N5 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ თელავის N8 საჯარო სკოლა

შპს „ჯეი ეფ ქომფანი“

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

სოფელი გუდაური, დუშეთის რაიონი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მისიაა“ საქართველოს ტურისტულ რეგიონებში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და ხარისხიანი განათლების მიწოდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით; პროფესიული სტუდენტების ინტერესების პრიორიტეტულობის აღიარებით, რომლებსაც ეყვარებათ, გაუფრთხილდებიან და დაიცავენ ქვეყნის ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებს, მატერიალურ და ბუნებრივ რესურსებს; საერთაშორისო სტანდარტებით უზრუნველყოფენ სტუმრების უსაფრთხოებას, კომფორტსა და კმაყოფილებას; განვითარდებიან, როგორც პროფესიონალები, დამსაქმებლები და მეწარმეები, გააუმჯობესებენ ოჯახების, თემის და ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

სკოლის ხედვაა, 2030 წლისთვის წარმოადგენდეს საქართველოში ლიდერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრს მოამარაგებს მაღალკვალიფიციური კადრებით, რითაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამთო გამყოლების საერთაშორისო აღიარებას და სკოლის, ასოციაციის გაწევრიანებას საერთაშორისო ფედერაციაში (IFMGA/UIAGM/IVBV). ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ჩვენი სკოლის ღირებულებებია: პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, სამართლიანობა, უწყვეტი განვითარება, პასუხისმგებლობა, ეფექტიანი მართვა, ინოვაციების დანერგვა, ტოლერანტობა, უსაფრთხოების უზენაესობა, ეთიკის და ქცევის კოდექსის დაცვა, ბუნებრივი და სოციალური გარემოს პატივისცემა და დაცვა, გუნდური მუშაობა, საჯაროობა.

2016 წლის 8 აგვისტოს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შპს „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ და ა(ა)იპ „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ“ დააფუძნეს ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“. 2016 წლის 23 სექტემბერს კოლეჯს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა გახდა გრანტის ბენეფიციარი.

ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ“ შექმნა წარმომადგენლობით პარტნიორთა კონსორიციუმი, რომელშიც შევიდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი კოლეჯი „თეთნულდი“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, საქართველოს მიმღები ტუროპერატორების ასოციაცია, შვეიცარიის სამთო გამყოლთა ასოციაცია, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

სკოლამ გამოუშვა 200-მდე საფეხმავლო, ალპური, სათხილამურო, სამთო გამყოლი, სათხილამურო ინსტრუქტორი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა სკოლის პროდუქტებზე. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სამთო პროფესიების კოლეჯებში მსოფლიოში აღიარებულ ლიდერთან – საფრანგეთის თხილამურების და ალპინიზმის ნაციონალურ სკოლასთან.

2016-2018 წლებში ა(ა)იპ „სათავგადასვლო ტურიზმის სკოლა“ ჯამში დაასრულა სადიპლომო პროგრამების 28 სტუდენტმა და სასერთიფიკატო პროგრამების 154 მონაწილემ.

პროფესიული განათლების მასწავლებლებად მოწვეულნი არიან საერთაშორისო სერტიფიკატების მქონე ექსპერტები.

2020 წელს ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ“ მოიპოვა ავსტრიის განვითარების სააგენტოს გრანტი, რის შედეგადაც გადაამზადა 22 საფეხმავლო გამყოლი.

2021 წელს სკოლამ მოიპოვა ორი მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება - საფეხმავლო გამყოლისა და სათხილამურო გამყოლის. 2021 წელს სკოლამ საფეხმავლო გამყოლის პროგრამაზე მიიღო 31 მსმენელი, ხოლო სათხილამურო გამყოლის მოკლევადიან პროგრამაზე – 29 მსმენელი.

2021 წელს სკოლამ გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში TVET 2021.

მისამართი

სოფელი გუდაური, დუშეთის რაიონი

საკონტაქტო ტელეფონი

(+995) 599 21 33 37
(+995)599970277
(+995) 551008131
(+995) 599989088

ელექტრონული ფოსტა

http://ats.ge
https://www.facebook.com/AdventureTourismSchool
info@ats.ge, teaosepa@yahoo.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამთო გამყოლი“ რეგისტრაცია შესაძლებელია 3 მაისიდან 22 აგვისტოს ჩათვლით ვებგვერდზე www.vet.emis.ge;
- მოკლევადიანი, სასერტიფიკატო პროფესიული გადამზადების პროგრამა „საფეხმავლო გამყოლი“ (გამოცხადდება ივლისის თვეში);
- მოკლევადიანი, სასერტიფიკატო პროფესიული გადამზადების პროგრამა „სათხილამურო გამყოლი: (გამოცხადდება ივლისის თვეში).

პარტნიორი ორგანიზაციები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ კარიერას საქართველოს სამთო ტურიზმის ერთ-ერთ წამყვან კომპანიაში „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანია“. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა დაარსების დღიდან წარმატებით თანამშრომლობს მთის კუროტების განვითარების კომპანიასთან, რაც გამოიხატება სხვადასხვა პროექტში თანამონაწილეობით, სამთო სათხილამურო კურორტების თანამშრომელთა გადამზადებითა და სხვა ერთობლივი პროექტების განხორციელებით. მთის კურორტების განვითარების კომპანიამ ააშენა და გადასცა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას მაღალმთიანი საწვრთნელი ცენტრი კურორტ გუდაურში.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი დაარსდა 2015 წლის 4 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზასა“ და სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კოლეჯის ძირითადი მიზანია სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ პროფესიონალი კადრების მომზადება, დასაქმებულთა საშუალო ასაკის შემცირება და ინტერესის გაზრდა რკინიგზის დარგის მიმართ.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს თანამედროვედ აღჭურვილ სასწავლო გარემოში, ბიზნესთან წარმატებული პარტნიორობით, მოდერნიზებული სასწავლო პროგრამებითა და მასალებით.

კოლეჯის შენობა სრულად ადაპტირებულია ინკლუზიური სწავლების სტანდარტების მიხედვით, სსსმ და შშმ პირთა მოთხოვნების შესაბამისად.

დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპს გადიან სს „საქართველოს რკინიგზაზე“ და იღებენ ანაზღაურებას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები გარანტირებულად დასაქმდებიან სს „საქართველოს რკინიგზაზე“.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და ადმინისტრაციის გადამზადება.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ; ნაკვეთი (01/10)	**577 178 065, 574 494 494**	**info.rtc2016@gmail.com**

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

საბაზო განათლების მქონე პირები (9 კლასის განათლებით) მიიღებიან შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა – 18 თვე; დაშვების წინაპირობაა მინიმალური ასაკი – 18 წელი;
- რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი – 21 თვე; დაშვების წინაპირობაა მინიმალური ასაკი 18 წელი;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა – 31 თვე;
- სარკინიგზო გადაზიდვები – 31 თვე;
- მეჩარხე – 17 თვე.

სრული ზოგადი განათლების მქონე პირები (12 კლასის განათლებით) მიიღებიან შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა – 19 თვე;
- სავაგონო მეურნეობა – 17 თვე;
- რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა – 18 თვე;
- ლოკომოტივის მართვა – 18 თვე;
- სარკინიგზო გადაზიდვები – 18 თვე;
- რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება – 18 თვე;
- შედუღება – 15 თვე; დაშვების წინაპირობაა ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა“;
- შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები – 23 თვე;
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა – 14 თვე.

ყველა პროგრამაზე მიღება ხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ ჩატარებული გასაუბრებითა და შიდა ტესტირებით, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, რომელზეც აპლიკანტები შეირჩევა სახელმწიფოს მიერ მოწყობილი პროფესიული ტესტირების გზით.

რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში – vet.emis.ge ვებგვერდის მეშვეობით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

პარტნიორი ორგანიზაციები

სს საქართველოს რკინიგზა
შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“

საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემია

ჰიპერმარკეტი „გუდვილი“
შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი (აფრიკის დასახლება), შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „სპექტრი“ მრავალპროფილიანი სასწავლებელია, რომლის ისტორიაც 1922 წელს იწყება. „სპექტრი“ პროფესიულ პროგრამებს ინჟინერიისა და ხელოვნების მიმართულებით ახორციელებს. პროფესიათა უმრავლესობა სამშენებლო მიმართულების კვალიფიკაციების აღორძინებას და სრულყოფას ემსახურება, რაც სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებით ევროპული სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე კვალიფიციური მუშახელის მომზადებას ითვალისწინებს.

21-ე საუკუნეში დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ ადამიანურ კაპიტალზე, ამიტომ „სპექტრი“ ცდილობს სტუდენტებს/მსმენელებს სხვადასხვა ტიპის პროგრამები შესთავაზოს, რათა მაქსიმალურად გაზარდოს მათი დასაქმება. ჩვენ გვყავს 100-ზე მეტი პარტნიორი კომპანია, რომელთაც კარგად ესმით, რომ ცოდნის და უნარების განვითარებაში შეტანილი წვლილი მათივე ბიზნესის მდგრადი ზრდის გარანტიაა.

თანაბარი შესაძლებლობები კოლეჯის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. შენობა ადაპტირებულია უნივერსალური დიზაინისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის სტანდარტების გათვალისწინებით. კოლეჯში არის დამატებითი დამხმარე სერვისები სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის.

ინოვაცია სწავლებაში კოლეჯის ერთ-ერთი პრიორიტეტია. „სპექტრს“ აქვს თანამედროვედ აღჭურვილი 23 კაბინეტ-ლაბორატორია, მათ შორის 6 ბრენდირებული, 12 სასწავლო სახელოსნო, 3 ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია (FABLAB), ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი.

2022 წელს კოლეჯი „სპექტრი“ და კომპანია „ევრომასტერი“ პირველად განახორციელებენ დუალურ პროფესიულ პროგრამას „წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია“. სპეციალურად ამ პროგრამისთვის კოლეჯის ტერიტორიაზე შენდება საწარმო.

მისამართი

თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10 (აფრიკის დასახლება)

საკონტაქტო ტელეფონი

+995 598 630 969

ელექტრონული ფოსტა

spectri.org@gmail.com

პროფესიულ-სამეწარმეო განათლებლო პროგრამები

ამჟამად მიმდინარეობს ონლაინ რეგისტრაცია 2022 წლის 24 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. რეგისტრაცია იწყარმოებს 2 მაისიდან 22 აგვისტოს ჩათვლით. იხილეთ რეგისტრაციის ბმული: https://vet.emis.ge/#/collegesPrograms/12

პარტნიორი ორგანიზაციები

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ აქტიური ფინანსური მხარდამჭერია „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ).

კოლეჯს ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: შპს „კაპაროლ ჯორჯია“, კ/ს „კნაუფ გიპს თბილისი“, შპს „ჰაიდელბერგცემენტი“, შპს „ჯეოთურანი“, შპს „ანაგი“, შპს „მონტაჟ ჯორჯია“.

2021-2022 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასა“ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაციაში (გურთიადი) შემავალ კომპანიებთან.

ჯამში კოლეჯს 100 მეტი ბიზნესპარტნიორი ჰყავს, რომელთა აქტიური ჩართულობა განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ქალაქი ფოთი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „ფაზისი“ დაარსდა 1956 წელს და ბევრჯერ შეიცვალა იურიდიული სტატუსი, თუმცა პროფილი ყოველთვის იყო დაკავშირებული სპეციალიზებულ სწავლებასთან. ამჟამად ბაზარზე გამოდის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ფაზისის“ სახელით. საქმიანობის სფეროა პროფესიული განათლება. კოლეჯი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია განთავსებული და აქვს ფილიალი ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევში. მისი მისიაა, წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, კვალიფიციური და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების თვალსაზრისით. კოლეჯში მუდმივად მიმდინარეობს მნიშვნელოვანი, პროგრესისა და სრულყოფისკენ მიმართული გარდაქმნები.

კოლეჯი „ფაზისი“ ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ძირითადი მიმართულებებია: აგრარული მეცნიერებანი, ბიზნესის ადმინისტრირება, ინჟინერია, ხელოვნება, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად კოლეჯს აქვს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებიც, ასევე სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-კურსები. აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კოორდინირებული თანამშრომლობით. კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ორგანიზაციებთან (სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები, ატელიეები, საჯარო დაწესებულებები, საქვეუწყებო ორგანიზაციები და ა.შ.). სოციალური პარტნიორობის მაღალი ხასრისხი მისი ძლიერი მხარეა.

კოლეჯი არის ISO ხარისხის მენეჯმენტის სისტემის 9001:2015 სერტიფიკატის მფლობელი.

მისამართი

ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54
ხობის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ნოჯიხევი

საკონტაქტო ტელეფონი

+995 (493) 275306

ელექტრონული ფოსტა

poti.pazisi@yahoo.com
college@phazisi.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება (ფოთი) – 7.5 თვე, III დონე;
- სამკერვალო წარმოება (ფოთი) – 19 თვე, III დონე;
- სარესტორნო მომსახურება (ფოთი) – 18 თვე, IV დონე;
- ინფორმაციის ტექნოლოგია (ფოთი) – 11 თვე, III დონე;
- შედუღება (ფოთი) – 6 თვე, III დონე;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება (ფოთი) – 11 თვე, III დონე;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება (ფოთი) – 11 თვე, III დონე;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (ფოთი) – 20 თვე, V დონე;
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (დუალური) (ფოთი) – 18,5 თვე, IV დონე;
- საოფისე საქმე (ფოთი) – 10 თვე, IV დონე;
- საფინანსო სერვისები (ფოთი) – 9.5 თვე, III დონე;
- ბუღალტრული აღრიცხვა (ფოთი) - 16 თვე, V დონე;
- ელექტროობა (ფოთი) – 9 თვე, III დონე;
- თმის მომსახურება (ფოთი) – 12 თვე, III დონე;
- თევზის გადამუშავება (ფოთი) – 21 თვე, IV დონე;
- ხის მხატვრული დამუშავება (ფოთი) – 19 თვე, III დონე;
- ფერმერობა მეთევზეობაში (ფოთი) – 21.5 თვე, IV დონე;
- ფლორისტიკა (ფოთი) – 10 თვე, III დონე;
- ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში (ინტეგრირებული) (ფოთი) – 33 თვე, IV დონე;
- თევზის გადამუშავება (ინტეგრირებული) (ფოთი) – 32 თვე, IV დონე;
- ფერმერობა მეთევზეობაში (ხობი) – 21.5 თვე, IV დონე;
- ფერმერი მემცენარე (ხობი) – 16 თვე, IV დონე;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება (ხობი) – 11 თვე, III დონე;
- მებაღეობა (ხობი) – 12 თვე, IV დონე;
- თმის მომსახურება (ხობი) – 12 თვე, III დონე;
- ელექტროობა (ხობი) – 9 თვე, III დონე;
- ფერმერი მემცენარე (ინტეგრირებული) (ხობი) – 30 თვე, IV დონე;
- მებაღეობა (ინტეგრირებული) (ხობი) – 30 თვე, IV დონე;
- აგრომექანიზაცია (ინტეგრირებული) (ხობი) – 30 თვე, IV დონე.

პარტნიორი ორგანიზაციები

„მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“
შპს „მეტალექს ტრანსი“
შპს „ნიკორა 7“
სს „ნიკორა ტრეიდი“
შპს „ხალიბი“
ი/მ დემურ ჯანჯღავა
შპს „გლგ სერვისი“
შპს „უნივერსამი ფოთი“
ვითიბი ბანკი
ლიბერთი ბანკი
შპს „უნივერსალური სატრანსპორტო სერვისი“
შპს „აპავენ ჯორჯია“
შპს kkk&company
შპს „გლობალ კომპანი“
შპს „კაისა-2“
შპს „ბისიეს-ბესთ კავკაუენ სერვისი“
შპს „აპავენ ჯორჯია“
შპს „ჯტი-ფოთი“
შპს „ბი სი ესი“
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
შპს „გეო მეტალიქსი“
ი/მ დავით ჩიტიანი
შპს „მოდული თიზი“
„თეგეტა მოტორსი“
ი/მ ნიკა ხარშილაძე
ი/მ მამელუქი კინტირაია
ი/მ ელგუჯა ტურძილაძე
შპს „სოფმარი“
ი/მ ნოდარი კინტირაია
ი/მ ნიკოლოზ ქანთარია
ი/მ ლევანი გელენიძე
ი/მ ალექსანდრე ფუტკარაძე
ი/მ მამუკა გვასალია
ი/მ გია გვაძაბია
ი/მ დავით ჭოჭუა
შპს „მათე მოტორსი“
„თეგეტა მოტორსი“
ი/მ მერაბ ჭიჭინაძე
ი/მ თამაზ კვარაცხელია
ი/მ ალფეზ არზიანი
შსპ „ხარება“
შპს „შამათია“
ი/მ სერგო ბერაია
შპს „აჭარა-ტექსტილი“
შპს „ფელინ გლობალი“
ი/მ როზა ვეკუა
ი/მ მარინე დადიანი
ი/მ რუსუდან პერტაია
ი/მ რუსუდან ჭკადუა
ი/მ ჯულიეტა ბენიძე
ი/მ ანა ვართანოვა
სალონი „წითელი და შავი“
შპს „ბიუთი ჰაუსი“
ინდმეწარმე თენგიზ ფიფია
ინდმეწარმე ნათია ნადარაია
ინდმეწარმე ივეტა ლაზარია
ინდმეწარმე ვალენტინა სივკოვა
ი/მ თემურ აფხაზავა
ი/მ ალა შეგოლევა
სასტუმრო „ვილარეტა“
შპს „არმანა“
სასტუმრო „პარაგრაფი“
სასტუმრო „ვილარეტა“
ი/მ სოფიო მოსიავა
შპს „აისბერგ ფოთი“
ი/მ ნინო ქორჩილავა
ი/მ თამარ კვირკველია
ი/მ ბელა ეჯიბია
ი/მ ზაირა სიჭინავა
ი/მ დარეჯან პაპავა
ი/მ ავთანდილ ალასანია
შპს „ანდრიანი“
შპს „არტ ფაზისი“
ი/მ ნანა კულუა
შპს „გიმნაზია“
ი/მ „აბესალომი ჯალაღონია“
სსიპ-ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი
APM Terminals Poti
შპს „ქეიბისი ალიანსი“
შპს „კავტრექსტერმინალი“
შპს „ლაიონ ტრანსი“

მპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“

სოფელი სარკინეთი, დმანისის რაიონი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია უპრეცედენტო არაკომერციული კერძო ინიციატივაა საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში. კოლეჯის მთავარი მიზანია, იყოს სასოფლო სამეურნეო საგანმანათლებლო სტრუქტურის მაგალითი ქვეყნის მასშტაბით. შვეიცარიული სტანდარტის მიხედვით შექმნილი კოლეჯი სპეციალიზებულია მეცხოველეობაში, რძისა და ყველის გადამუშავებაში.

კოლეჯი მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით:

- 2-წლიანი პროფესიული პროგრამა მეცხოველეობაში, რძისა და რძის პროდუქტების გადამუშავებაში;
- საჯარო კოლეჯების პედაგოგების გადამზადება;
- მოკლევადიანი პროფესიული კურსები ფერმერებისა და მოყვარულთათვის; ფერმერთა კონსულტაციები.

თეორიულ სწავლებასთან ერთად, უზრუნველყოფილია სტუდენტების პრაქტიკული განათლებაც. ამ მიზნით, კოლეჯის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მეცხოველეობის ფერმა და შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ყველის ქარხანა. პროფესიონალი მასწავლებლების მეთვალყურეობით სტუდენტები თავად წარმართავენ ფერმის ყოველდღიურ საქმიანობას, ამზადებენ საკვებს ფერმისთვის, მუშაობენ ლაბორატორიაში, ამუშავებენ რძესა და რძის პროდუქტებს, რომლებიც საქართველოსა და უკვე უცხოეთის ბაზარზეც იყიდება.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
თბილისი, რუსთაველის გამზირი, 52	599 78 11 07	info@sasc.ge

პროფესიულ-სავანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ფერმერობა;
- რძის პროდუქტების წარმოება.

პარტნიორი ორგანიზაციები

შვეიცარიის, კანტონ გრაუბიუნდენის პროფესიული სასწავლებელი „პლანტაჰოფი“;

შვეიცარიის კანტონ გრაუბიუნდენის ყოფილი მთავარი ვეტერინარის, პროფესორ როლფ ჰანიმანის ვეტერინარული საკონსულტაციო ფირმა „ექსპერტირი“;

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);

შვეიცარიელი სელექციონერების, მეცხოველეებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების სერვის-ცენტრი შვეიცარიაში – შვეიცარიის ბრაუნ-შვიც ასოციაცია;

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სპერმის უმსხვილესი მწარმოებელი შვეიცარიაში Swissgenetics

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

ქალაქი ოზურგეთი, გურიის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ქალაქ ოზურგეთში მდებარე ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა გურიის რეგიონში. 2021 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო კოლეჯის ჩოხატაურის ფილიალმა გორაბერეჟოულში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლოკაციაზე კოლეჯის სასწავლო ფართის მშენებლობა დასრულებულია. იგეგმება სახელოსნოების მშენებლობა ოზურგეთის ლოკაციაზეც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჰორიზონტი“ ადგილობრივებისთვის ძირითადი განათლების კერაა, საიდანაც ისინი სწავლასა და კარიერის შექმნას იწყებენ. კოლეჯის გეგმებში შედის საერთო საცხოვრებლის აშენებაც, ვინაიდან სტუდენტთა დიდი ნაწილი აქ ოზურგეთის მიმდებარე და სხვა რაიონების სოფლებიდან ჩამოდის.

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები, ხარისხიანი სწავლება, აქტიური თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და კარგი ანაზღაურება ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც „ჰორიზონტში“ სასწავლებლად არა მხოლოდ გურიიდან, არამედ მეზობელი რეგიონებიდანაც ჩამოდიან. ვინაიდან გურიის რეგიონში ეს ერთადერთი პროფესიული კოლეჯია, ადგილობრივი ინვესტორები თუ მსხვილი ბიზნესკომპანიები კვალიფიციური კადრების მოძიებისთვის პირველ რიგში სწორედ მას მიმართავენ. ჩვენი კურსდამთავრებულები ძირითადად ისევ გურიის რეგიონში საქმდებიან, ამიტომაც კოლეჯი პროგრამებს ახორციელებს რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე. რეგულარულად ტარდება მოკვლევა, თუ რა არის მნიშვნელოვანი რეგიონისთვის. შესაბამისად, კოლეჯი მუდმივად მზად არის სიახლეებისთვის, რათა კურსდამთავრებულები სრულად აკმაყოფილებდნენ შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. „ჰორიზონტი“ მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე და ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვე სტანდარტებს.

გრძელვადიან საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, კოლეჯი „ჰორიზონტი“ წარმატებით ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებსაც, რომლებიც კერძო სექტორის ჩართულობით ხორციელდება და უმოკლესი გზაა დასაქმებისკენ.

„ჰორიზონტში“ ნებისმიერი მიმართულების პედაგოგს და სტუდენტს დამატებით უტარდებათ ინგლისური ენის გაკვეთილები. ცოტა ხნის წინ შეიქმნა პროფესიული ტერმინოლოგიების ინგლისურ-ქართული ლექსიკონების ბიბლიოთეკა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, ზოგადი ინგლისურის გარდა, საკუთარი პროფესიის ტერმინოლოგიაც აქტიურად აითვისონ.

სტუდენტებს სწავლის პროცესში, თეორიულ კურსთან ერთად, პრაქტიკული მეცადინეობებიც უტარდებათ. კოლეჯი უახლესი სასწავლო მატერიალური ბაზითა და ინვენტარითაა აღჭურვილი. ეს ხელს უწყობს პროფესიული განათლებით დაინტერესებულებს, რომ სწავლის პროცესშივე გაეცნონ არა მხოლოდ სამუშაოს სპეციფიკას, არამედ სამუშაო დანადგარებსაც, რაც, თავის მხრივ, კურსდამთავრებულებს სამსახურის დაწყებისას დიდ უპირატესობას აძლევს.

კოლეჯში ფუნქციონირებს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამკერვალო, სილამაზის სალონი, სამზარეულო, ბარი, CISCO-ს აკადემიის ლაბორატორია და სხვა სახელოსნოები.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ოზურგეთი, რუსთაველის N8	577162288	info@horizonti.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ოზურგეთი

- კულინარიის ხელოვნება;
- სამკერვალო წარმოება;
- ელექტროობა;
- თმის მომსახურება;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- სკოლამდელი აღზრდა;
- ბაღის დიზაინი (ინტეგრირებული);
- საფინანსო სერვისები;
- სასტუმროს მომსახურება (ინტეგრირებული);
- ვიზაჟის მომსახურება.

გორაბერეჟოული, ჩოხატაური

- კომპიუტერული ქსელები და სისტემები (ინტეგრირებული);
- ბაღის დიზაინი (ინტეგრირებული);
- მებაღეობა;
- მეხილეობა;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- სკოლამდელი აღზრდა.

მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები

- საერთაშორისო სამზარეულოს სხვადასხვა კერძებისა და მინინაწარმის მომზადება;

- პრაქტიკული ბუღალტერია – საბუღალტრო პროგრამა ORIS;
- სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების მომსახურება;
- მაკიაჟის შესრულება და დერმოპიგმენტაცია;
- თმის ღებვა და ქიმიური დამუშავება;
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა და მეთოდოლოგია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- უსაფრთხოება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებაში;
- ადმინისტრაციული პროცესები, დასუფთავება და უსაფრთხოება სასტუმროში;
- თმის შეჭრა და ვარცხნილობა;
- ბარის ორგანიზება;
- გარე განათების ელექტრომემონტაჟე;
- დისტანციური IT მხარდაჭერის სპეციალისტი;
- კერძების მომზადება სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდით;
- სერვისი და სერვირება;
- საყოფაცხოვრებო ნაწარმის კერვა და დეკორატიული გაფორმება;
- მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა;
- ვენახის გაშენება, მოვლა.

პარტნიორი ორგანიზაციები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“

შპს „პარაგრაფ შეკვეთილი“

სასტუმრო „ოზურგეთი პლაზა“

სასტუმრო შპს „სემი“

ი/მ ნანა თავართქილაძე, სალონი „ლაბელე ვია“

„ურეკი რეზიდენსი“

შპს „ოდელია“

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ულეველა“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ვთბ ბანკი

შპს „ეარნეტი“

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

ატელიე Shoutaz

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

შპს „ოზურგეთი დენიმი“

ამხანაგობა ქართული სამოსი

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია ბჟუჟა ჰესი“

თავისუფალი მედია სივრცე

შპს „ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა“

შპს „მცირე ენერჯი აჭიჰესი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო იურიდიული პირის კომუნალური მომსახურების ცენტრი

ფ/პ გრიგოლ კალანდაძე

კოლეჯი „არსი“

ქალაქი რუსთავი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

საზოგადოებრივი კოლეჯი „არსი“ თავის მთავარ მისიად მიიჩნევს თანამედროვე თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რუსთავისა და ქვემო ქართლის მასშტაბით და ამ რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე მუშაობის წარმართვას მაღვალკვალიფიციური სატრენინგო-სასერტიფიკატო კურსების კუთხით.

შპს „არსი“ 2006 წელს დაფუძნდა და გაფორმდა, როგორც საგანმანათლებლო საზოგადოება. 2007 წელს მან პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია მიიღო. შემდგომში კი ორგანიზაციამ სტრატეგიული გეზი სატრენინგო საქმიანობისკენ აიღო. საბუღალტრო აღრიცხვის, საბანკო საქმის, უცხოური ენების და კომპიუტერული პროგრამების საკურსო მოდულები წარმატებული აღმოჩნდა და ქალაქის მასშტაბით ფართო აუდიტორია შესძინა სასწავლებელს.

კოლეჯმა ახალი სტანდარტებით საავტორიზაციო პროცედურები 2012 და 2019 წლებში გაიარა. მის ძირითად სასწავლო პროფილად ჯანდაცვა და ბიზნესის ადმინისტრირება ჩამოყალიბდა.

„არსის“ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ უნარებს ეუფლებიან ქვემო ქართლის რეგიონის წამყვან პროფილურ ორგანიზაციებში. სასწავლო დაწესებულებაში კვალიფიციური კადრებია მობილიზებული და სასწავლო პროცესი ისე წარიმართება, რომ სტუდენტმა, უშუალო სპეციალიზაციასთან ერთად, მომიჯნავე დისციპლინების ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც შეიძინოს.

კოლეჯში აქტიური სტუდენტური ცხოვრება მიმდინარეობს. სტუდენტები 2019 წელს მადლობის სიგელებით დააჯილდოვა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა განსაკუთრებული აქტიურობისა და მიწეული შედეგებისთვის ც-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში.

კოლეჯი „არსი“ აგრძელებს აქტიურ განვითარებას და გეგმავს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი მოკლევადიანი მომზადების პროგრამების დანერგვას და პარტნორი ორგანიზაციების ჩართულობის გაღრმავებას საგანმანანთლებლო პროცესში.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
რუსთავი, ჟ. შარტავას გამზ. N4	571 77 82 26	collegearsi@yahoo.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი პროგრამები:

- საექთნო საქმე;
- ფარმაცია/სააფთიაქო საქმე;
- საფინანსო სერვისები.

მოკლევადიანი პროგრამა:

- გერიატრიული ასისტენტი.

პარტნიორი ორგანიზაციები

მულტიფუნქციური კლინიკები:
კლინიკა „რუსთავი“, „ჯეოჰისპიტალსი“,
რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

სააფთიაქო ქსელები:
სს „გეფა“, შპს „იბერიფარმა +“, შპს „ემ ფარმა“

კომერციული საფინანსო ორგანიზაცია: სს „ლიბერთიბანკი“
შპს „მადაგონი“



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ქალაქი ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაციის კოლეჯის შესახებ

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (ბნსუ) არის ბათუმის საზღვაო კოლეჯის სამართალმემკვიდრე. სწორედ 1997 წელს დაარსებული კოლეჯის ბაზაზე შეიქმნა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი 2007 წელს.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან ერთად, ბნსუ ახორციელებს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას – გემბანის რიგითი მეზღვაური, სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური და ელექტროობა. არსებობის 25 წლის მანძილზე ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პროფესიული საზღვაო განათლების ბრწყინვალე სკოლა, რომელსაც 2000-ზე მეტი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს.

ბნსუ-ს პროფესიულ სტუდენტთათვის უზრუნველყოფილია სრულყოფილი სასწავლო გარემო და სასწავლო პრაქტიკა. ბნსუ ფლობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ბოლო მოთხოვნების შესაბამისად განახლებულ სიმულატორებს, სასწავლო-საწვრთნელ გემს გაცნობითი პრაქტიკისათვის. 2021 წლის ივნისიდან ბნსუ-ში მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, რომლის შედეგადაც მთლიანად განახლდება როგორც სასწავლო გარემო, ისე მისთვის საჭირო აღჭურვილობა.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს აქვთ საშუალება, პროგრამის დამთავრებისთანავე დაიწყონ საკუთარი საზღვაო კარიერა და პარალელურად, მიიღონ შემდეგი საფეხურის განათლება ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებით.

ჩვენი კურსდამთავრებულების 82% პროფესიითა დასაქმებული. საზღვაო მიმართულების პროფესიები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, დასაქმებადი და მაღალანაზღაურებადია საქართველოში.

2021 წლის 19 ნომებერს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ „გემბანის რიგითი მეზღვაური“ მიიღო პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროფესიული პროგრამა“.

მისამართი

ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38

საკონტაქტო ტელეფონი

+995 593 44 22 85

ელექტრონული ფოსტა

info@bntu.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია – გემბანის რიგითი მეზღვაური, ხანგრძლივობა – 14 თვე;
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია – გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური, ხანგრძლივობა – 14 თვე;
- საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ელექტროობა, ხანგრძლივობა – 10 თვე.

პარტნიორი ორგანიზაციები

NAUTICA LLC
Elseri Maritime
IALKANI-S
Poseidon Crewing Agency
Universal Maritime Service (UMS)
Valmars Georgia Ltd
Geobridge K (Crewing Agency)
Global Marine Company
LAM Shipping Agencies Georgia LLC
Queensway Services LTD
Baltic Group International (BGI Batumi)
Elvictor Crew Management Service Ltd Georgia
Iberian Navigation LTD
Eurostar Marine Ltd

შპს „ბარაკონი“

ქალაქი თბილისი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „ბარაკონი“ 30 წელია, რაც სტუდენტების პროფესიულ განათლებაზე ზრუნავს. თავდაპირველად კოლეჯი საზოგადოებამ სამედიცინო დაწესებულების სტატუსით გაიცნო. მედდა, ბებიაქალი, მასაჟისტი, კბილის ტექნიკოსი, ფარმაცევტი – ეს მისი პირველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალია. გამოცდილების ზრდასთან ერთად, კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებს ახალი მიმართულებები – კომპიუტინგი/ინფორმატიკა, ბიზნესის ადმინისტრირება და განათლება დაემატა. დღეისათვის კი კოლეჯში პროფესიების მრავალფეროვანი არჩევანი და სწავლის მაღალი ხარისხია.

„ბარაკონი“ ახორციელებს გრძელვადიან სადიპლომო პროგრამებს. კოლეჯის კურსდამთავრებულების დიპლომებს სახელმწიფო ყველა ეტაპზე აღიარებდა. 2018 წელს კოლეჯმა წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია.

მისამართი

ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ი. აბაშიძის ქ. N3

საკონტაქტო ტელეფონი

+995 (32) 230 80 86, 551 27 88 03

ელექტრონული ფოსტა

info@barakoni.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო საქმე;
- ფარმაცია (სააფთიაქო);
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- საოფისე საქმე.

პარტნიორი ორგანიზაციები

„იმპექსფარმი“

შპს „იბერიფარმა+“

„სს გეფა“

ა (ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“

სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი

შპს აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა

შპს „ჰერა 2011“

შპს ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი

სს ევექსის ჰოსპიტლები

სს ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ-კლინიკა

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

შპს ავერსი-ფარმა

შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა

შპს ევროპის უნივერსიტეტი

ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლა

ქ. თბილისის N84 საჯარო სკოლა

ქ. თბილისის N87 საჯარო სკოლა

ქ. თბილისის N209 საჯარო სკოლა

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA

ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA დაფუძნდა 2010 წელს. შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში მან წარმატების შთამბეჭდავი ისტორია შექმნა. დღეისთვის აკადემიას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ლიდერი პოზიცია უჭირავს და წარმატებით ახორციელებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე მოკლევადიან მომზადება-გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებს.

რატომ SBA?

- პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ინიცირებითაც პროფესიული განათლების სისტემამ სხვადასხვა პერიოდში ხუთი მოთხოვნადი ახალი კვალიფიკაცია შეიძინა;
- პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც მოდულური პროგრამების პილოტირება და დანერგვა დაიწყო;
- პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უცხოენოვან (ინგლისურ) პროფესიულ პროგრამას;
- პირველი კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც პროგრამა განახორციელა დუალურად (ბუღალტრული აღრიცხვა);
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც მოიპოვა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გერმანელ პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს უმასპინძლა;
- პირველი კოლეჯი საქართველოში, რომელმაც მიიღო „საუკეთესო სამეწარმეო სკოლა-2019“-ის საერთაშორისო აღიარება (ფინეთი);
- პირველი კერძო კოლეჯი საქართველოში, რომელმაც ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ეროვნული ჯილდო მიიღო;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებისთვის მასშტაბური დასაქმების ფორუმების პრაქტიკა დანერგა;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც საკუთარ ბაზაზე დააფუძნა CISCO ACADEMY და აკადემიის სტუდენტებს IT-მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის მიღების შესაძლებლობას აძლევს;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც საერთაშორისო გრანტის ფარგლებში დაიწყო საკუთარი სერვისების და პროცესების მაქსიმალური გაციფრულების პროცესი;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც გაიმარჯვა USAID-ის საგრანტო პროექტში „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ Industry-Led Skills Development Program.

მისამართი

ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22

საკონტაქტო ტელეფონი

0322403440, 0322403340, 599 975 772, 568 301 590

ელექტრონული ფოსტა

pr@sba.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

სახელმწიფო დაფინანსებით

- საექთნო საქმე;
- ფარმაცია;
- სკოლამდელი განათლება;
- ინფორმაციის ტექნოლოგი;
- ლოგისტიკა;
- ლოგისტიკა ინტეგრირებული (დიპლომი+ატესტატი);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები – ინტეგრირებული (დიპლომი+ატესტატი).

თვითდაფინანსებით

- ფინანსები;
- საბაჟო საქმე;
- ოფისის მენეჯერი;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- ბუღალტრული აღრიცხვა – დუალური.

პარტნიორი ორგანიზაციები

პსპ ფარმა

შემოსავლების სამსახური

შპს ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი

შპს გაკო ტერმინალი

შპს GREENWAY LOGISTIC

საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი

მპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“

ქალაქი თბილისი, მლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ბიზნესისა და ტექნოლოგების აკადემია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი ისტორია 2014 წლიდან იწყება, თუმცა აკადემია 29-წლიანი საგანმანთლებლო გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა.

აკადემიის დევიზია: „ცოდნა ძალაა“.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია გამოირჩევა მრავალფეროვანი მიმართულებებით. კოლეჯი ახორციელებს მესამე, მეოთხე და მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებს. 2019 წელს მას მიენიჭა ISO 9001:2015 სტანდარტის მფლობელის სტატუსი და გახდა საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი.

2018 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ აკადემიას მიანიჭა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტული. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია არის საქართველოსა და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატებისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი.

2022 წელს მოიპოვა შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული პროგრამა 3 წლის ვადით.

დაწესებულება ფლობს 3 ფილიალს. 2 შენობა მდებარეობს დედაქალაქში, ხოლო მესამე – ქ. საჩხერეში

BTA აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროექტში:

- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა;
- სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამა;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა.

ბიზნესისა და ტექნოლგოიების აკადემიას გამოარჩევს:

- სტუდენტზე ორიენტირებული, განმავითარებელი გარემო;
- მაღალხარისხიანი პროფესიული განათლება;
- მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- თანამედროვე ტექნიკით, ლაბორატორიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სასწავლო და სამუშაო სივრცეები;
- მრავალფეროვანი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები;
- მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- თანამშრომლობა წამყვან ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო სექტორთან;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

აკადემია მუდმივად ისწრაფვის განვითარებისკენ. დაწესებულება პასუხობს განათლების სისტემაში მიმდინარე ყველა სიახლესა და გამოწვევას.

მისამართი

ქ. თბილისი, წერონისის ქ. N208

საკონტაქტო ტელეფონი

593303211, 574008080

ელექტრონული ფოსტა

btaedu@yahoo.com
sofima.sm@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

მე-5 დონის პროგრამები:

- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები;
- საექთნო განათლება;
- აღმზრდელი;
- ბუღალტრული აღრიცხვა.

მე-4 დონის პროგრამები:

- ვებტექნოლოგიები;
- ვებტექნოლოგიები (ინტეგრირებული);
- საოფისე საქმე (ინტეგრირებული);
- საოფისე საქმე.

მე-3 დონის პროგრამები:

- ელექტროობა;
- მშენებლობის მწარმოებელი (სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა);
- ინფორმაციის ტექნოლოგია.

მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები:

- ადმინისტრაციული ასისტირება;
- გერიატრიული ასისტენტი;
- გრაფიკული დიზაინი;
- ელექტროტექნოლოგია და უსაფრთხოება;

- კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები;
- ნარჩენების მართვა;
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- საბაჟო დეკლარირება;
- საოფისე, სამეურნეო მარაგების და საარქივო დოკუმენტაციის მართვა;
- სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
- სისტემური ადმინისტრირება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა;
- ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი;
- ქსელის ადმინისტრირება.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „ორიენტირი“

შპს „ინტელექტ ცენტრი“

შპს „ევროპული განათლების ცენტრი ბი დი სი აკადემია“

ა(ა)იპ სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაცია

კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია „სი თი ეი“

სს „ევექსის ჰოსპიტლები“

შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი

საქართველოს კარიტასი

შპს „უნივერსი“

ქ. თბილისის ცენტრალური საავადმყოფო

ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი

თბილისის ამერიკული ჰოსპიტალი

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ-კლინიკა

საჩხერის ა(ა)იპ გაერთიანებული ბაღები

სსიპ ქალაქ თბილისის N43 საბავშვო ბაგა-ბაღი

სსიპ ქალაქ თბილისის N49 საბავშვო ბაგა-ბაღი

სსიპ ქალაქ თბილისის N46 საბავშვო ბაგა-ბაღი

შპს „ინტელექტ აუდიტი“

შპს „ევროპული განათლების აკადემია ბი დი სი“

შემოსავლების სამსახური

„გრინვეი ლოჯისტიკი“

შპს „ჯი-თი ექსპრეს სერვისი“

შპს „სქაინეთი“

შპს „კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სი თი ეი“

შპს „აიტისი“

სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის 112-ე საჯარო სკოლა

შპს „იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი“

შპს „კერა+“

შპს შრომის უსაფრთხოების ცენტრი

შპს „სანიტარი“

ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

შპს „ჯეო ელექტრიკი“

შპს „იუნიქს კონსტრაქშენ კომპანი“

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“

ქალაქი ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ დაარსდა 2009 წელს. 2014 წელს მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ავტორიზაციის გზით.

კოლეჯი წარმოადგენს საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ახორციელებს მოქმედი მეზღვაურების გადამზადებასა და სერტიფიცირებას.

შპს „სსსც ეკვატორი“ შედის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის შემადგენლობაში ასოცირებული წევრის სტატუსით. სასწავლებელში ასწავლიან საზღვაო დარგის გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, კაპიტნები და უფროსი მექანიკოსები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ სწავლების პროცესი აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამებით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მისამართი

ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N33

საკონტაქტო ტელეფონი

+995 (422) 22 43 43, 579 26 43 43

ელექტრონული ფოსტა

info@equator.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“

შპს „ნაუტიკა“

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

შპს „სენდი“

შპს „ატლანტა ჯორჯია“

შპს „ელვიქტორ ქრიუ მენეჯმენტ სერვისი“

შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“

ქალაქი თბილისი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი 1918 წელს საზოგადო მოღვაწეების ძალისხმევითა და საზოგადოების მხარდაჭერით დაარსდა. მას შემდეგ მუდმივად ვითარდება და თანამედროვე სტანდარტებთან თანხვედრაშია.

ჩვენთან შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები გათვლილია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად, ჯანდაცვის სფეროს შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის საჭირო და აუცილებელი ცოდნის მისაღებად. სწავლებას ახორციელებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული ადმინისტრაციული პერსონალი. კოლეჯში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსებია.

კოლეჯის მიზანია, პროფესიულმა სტუდენტებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება და გამოიმუშაონ აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მათი წარმატების და სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების გაწევის საწინდარია. ამასთან ერთად, მათ უნდა მიიღონ არა მხოლოდ პროფესიული ცოდნა, არამედ ის ღირებულებებიც, რაც ერთი საუკუნის მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

1918 წლიდან 100 წელზე მეტი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს არ დაუკარგავს აქტუალობა და ის ხედვა, რომ უზრუნველყოს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების და თვითგამოხატვის თავისუფლება.

მისამართი

ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, სპირიდონ კედიას ქ. N7

საკონტაქტო ტელეფონი

(+995) 598 980 003

ელექტრონული ფოსტა

Info@medicalschool.edu.ge

პროფესიულ-სამანმანათლებლო პროგრამები

- **ფარმაცია (სააფთიაქო)**
  პროგრამის ტიპი: მოდულური
  დონე: 5
  პროგრამის ხანგრძლივობა: 20 თვე
  პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტისთვის: 25 თვე
  პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

- **საექთნო განათლება**
  პროგრამის ტიპი: მოდულური
  დონე: 5
  პროგრამის ხანგრძლივობა: 30 თვე
  პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტისთვის: 35 თვე
  პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პარტნიორი ორგანიზაციები

სს „ევექსის ჰოსპიტლები“

შპს „ავერსი – ფარმა“

ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო

შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“

შპს „თეგეტა აკადემია“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს „თეგეტა აკადემია“ არის ავტორიზებული პროფესიული კოლეჯი და მულტიფუნქციური ტრენინგ-ცენტრი. პროფესიული კოლეჯი დაარსდა 2018 წელს, ხოლო 2019 წელს აკადემიამ მოიპოვა ავტორიზაცია, მიენიჭა უფლებამოსილება, განეხორციელებინა სამი პროგრამა: ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება, ძრავის შეკეთება, სავალი ნაწილის შეკეთება. „თეგეტა აკადემიის“ მისიაა საავტომობილო მიმართულებით კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება. იგი იძლევა პროფესიული განათლების მიღებისა და პროფესიული ზრდის უნიკალურ შესაძლებლობებს. სატრანსპორტო მიმართულების პროგრამა დუალური ფორმატით ხორციელდება. პროგრამების განხორციელებაში ჩართულია პარტნიორი კომპანია, შესაბამისად, სასწავლო/მატერიალურ და ადამიანურ რესურსზე წვდომა უნიკალურია.

საგანმანათლებლო პროგრამას უძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი კომპანიის გამოცდილი და საუკეთესო პერსონალი, რომლებმაც სასწავლო პროცესის დაწყებამდე გაიარეს სპეციალური ტრენინგ-მოდული. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხორციელდება ინოვაციური მიდგომებით. დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული სალექციო კურსები ხორციელდება წინასწარ შექმნილი ვიდეო/სადემონსტრაციო სასწავლო მასალებით. თეორიული სწავლის პროცესში მიღებული ცოდნით, სტუდენტები უშუალოდ საწარმოში, ინსტრუქტორების დახმარებით ასრულებენ სამუშაოს.

აკადემია მიღებას აცხადებს საავტომობილო ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებზე, რაც სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივას ზრდის. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დასაქმდნენ საავტომობილო სფეროში წამყვან კომპანია „თეგეტა მოტორსში“.

მისამართი

ქ. თბილისი,
დ. აღმაშენებლის ხეივანი 129

საკონტაქტო ტელეფონი

0322 26 44 46

ელექტრონული ფოსტა

info@tegetaacademy.ge

პროფესიულ-სამენეჯმენთლებლო პროგრამები

პროგრამა – ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება

პროგრამის მიზანია, სატრანსპორტო სფეროსთვის მოამზადოს ელექტრონული სისტემების პროფესიონალი შემკეთებელი, რომელსაც შეეძლება საკუთარი თავის რეალიზება მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებში ელექტრო და ელექტრონული სისტემების სერვისის მიმართულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამის განხორციელების ფორმაა დუალური. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა ერთი წელი და ცხრა თვე.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „თეგეტა რითეილი“

მპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

ქალაქი თბილისი, ქალაქი ქუთაისი

ინფორმაციას კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „კავკასიონი“ დაფუძნდა 2012 წელს. კოლეჯმა ბოლო ავტორიზაცია გაიარა 2017 წელს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ მისამართზე – თბილისსა და ქუთაისში. კოლეჯში ამჟამად შვიდ სადიპლომო პროგრამასა და მომზადება-გადამზადების ექვს სასერტიფიკატო პროგრამაზე 600-მდე სტუდენტი სწავლობს. მათ განათლებას ემსახურება 100-მდე პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერებათა დოქტორები და მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი პროფესიული მასწავლებლები. კოლეჯში პროგრამების უმრავლესობაზე სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. არის ისეთი პროგრამებიც, რომლებიც თვითდაფინანსების შესაძლებლობას იძლევა.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა/მიმდინარეობა, მოწვეული მასწავლებელების კვალიფიკაცია, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვადასხვა დარგის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები სტუდენტებისთვის მაღალი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. კოლეჯში ხშირად ტარდება კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ექსკურსიები და სხვა. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. მათ მუდმივად მიეწოდებათ საინტერესო შეთავაზებები განვითარებისა და დასაქმების შესახებ.

მისამართი

ქ. ქუთაისი, ოცხელის №2
ქ. თბილი, ბაქრაძის №6

საკონტაქტო ტელეფონი

ქუთაისი – 0431224131
თბილისი – 0322433133
მობილური – 599912564

ელექტრონული ფოსტა

info@kavkasioni.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

სადიპლომო პროგრამები:

სახელმწიფო დაფინანსებით:

- საექთნო საქმე;
- ფარმაცია – სააფთიაქო;
- სკოლამდელი აღზრდა;
- ინფორმაციის ტექნოლოგია.

თვითდაფინანსებით:

- ბუღალტრული აღრიცხვა;
- საოფისე საქმე;
- საფინანსო სერვისები (საბანკო საქმე).

მოკლევადიანი პროგრამები:

სახელმწიფო დაფინანსებით:

- გერიატრია;
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა;
- სალარო ოპერაციების განხორციელება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა.

თვითდაფინანსებით:

- ელექტრონული ბუღალტერია;
- მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „ბი ემ სი გორგია“

ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კორპორაცია „ევექსის სამედიცინო დაწესებულებები“

შპს „ავერსი-ფარმა“

ააიპ ქუთაისის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი

ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“

შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

შპს გადაუდებელი ქირურგიისა და ტრამვატოლოგიის ცენტრი

სს „ნიკორა ტრეიდი“

ააიპ დიდი დიღმის N73 საბავშვო ბაღი

ააიპ დიდი დიღმის საბავშვო ბაღი „ხუთკუნჭულა“

ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

შპს „იბერიფარმა+“

თბილისის N 100 საბავშვო ბაგა-ბაღი

შპს ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი

შპს თბილისის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა

შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება

შპს „უნიქალმედი“

შპს „ნეოფარმი+“

თბილისის N198 საბავშვო ბაგა-ბაღი

თბილისის N197 საბავშვო ბაგა-ბაღი

შპს „კლინიკა ბომონდი“

შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი

კეონი აკადემია

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს „კეონი აკადემია“ შეიქმნა 2018 წელს პროფესიონალური საერთაშორისო ბრენდების – KEUNE Haircosmetics-ისა და LCN-ის ოფიციალური წარმომადგენლობის, შპს Beauty Life-ის ბაზაზე.

სასწავლებელი თავის წვლილს შეიტანს ადგილობრივი პროფესიული განათლების ევროპულ პროფესიულ განათლებასთან დაახლოებაში. თმისა და სილამაზის მომსახურების მიმართულებით ის დაკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში.

საერთაშორისო პარტნიორებთან წარმატებული და ეფექტური 10-წლიანი თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა სანდო, საქმიანი ურთიერთობა, რამაც გვიბიძგა, მათი მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარების საფუძველზე ევროპული სტანდარტების შესაბამისი აკადემია დაგვეარსებინა. აღნიშნულ სასწავლებელში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება-გადამზადებას შევძლებთ.

მისამართი

ქ. თბილისი, ქავთარაძის 20დ, 1086

საკონტაქტო ტელეფონი

+995 032 214 44 36

ელექტრონული ფოსტა

info@keuneacademy.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

მომზადების პროგრამები

- ფრჩხილის მოვლა-მოწესრიგება;
- თმის ღებვა;
- თმის შეჭრა.

პროფესიული პროგრამები

- ფრჩხილის მომსახურება;
- თმის მომსახურება.

პარტნიორი ორგანიზაციები

საერთაშორისო პარტნიორები

KEUNE HAIRCOSMETICS – თმის პროფესიონალური მოვლის საშუალებების ჰოლანდიური ბრენდი

LCN – ფრჩხილის პროფესიონალური მოვლის საშუალებების გერმანული ბრენდი

ადგილობრივი პარტნიორები

Beauty Life – საერთაშორისო ბრენდების ოფიციალური წარმომადგენლობა

სილამაზის სალონი-სტუდია KEUNE

შპს „მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი“

ქალაქი ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი მესამე საფეხურის (X, XI, XII კლასები) კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა. ლიცეუმის მოსწავლეები, სურვილისამებრ, იღებენ პროფესიულ განათლებასაც და ეუფლებიან გემბანის რიგითი მეზღვაურის, სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის და ელექტროობის პროფესიას. ლიცეუმი ითვლის 20-წლიან ისტორიას. დაარსების დღიდან, სწორი დაგეგმვისა და პრიორიტეტების მართებულად განსაზღვრის შედეგად, ლიცეუმის მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. 2011 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება – 4 წლის ვადით. 2016 წელს კი, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება – 6 წლის ვადით.

მისამართი

ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38

საკონტაქტო ტელეფონი

0422 29 25 25

ელექტრონული ფოსტა

maxijauris.liceumi@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია – გემბანის რიგითი მეზღვაური, ხანგრძლივობა – 14 თვე;
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია – გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური, ხანგრძლივობა – 14 თვე;
- საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ელექტროობა, ხანგრძლივობა – 10 თვე.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „ნაუტიკა“

შპს „ელსერი“

შპს „სააგენტო პოსეიდონი“

შპს „გეო ბრიჯი“

შპს „იბერიის ნავიგაცია +“

შპს „იალქანი-s“

შპს „გლობალ მარინ ქომპანი“

შპს „ფრეგატი ქრიუ მენეჯმენტი და ქონსალთინგი“

შპს „ვალმარს ჯორჯია“

შპს „ელვიქტორ ქრიუ მენეჯმენტ სერვისი“

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური

მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ქალაქი მარნეული, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

მარნეულის საზოგადოებრივმა კოლეჯმა ავტორიზაცია 2019 წელს გაიარა და მას შემდეგ ახორციელებს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებს: აღმზრდელი, საექთნო განათლება, ინფორმაციის ტექნოლოგი, საფინანსო სერვისები.

ჩვენი მთავარი გამოწვევა, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის ენის ბარიერი – სტუდენტების უმრავლესობა არაქართულენოვანია. კოლეჯს ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი აქვს რეგიონში. ვასწავლით ქართულ ენას, ასევე აქტიურად ვაწყობთ შემეცნებით, საინფორმაციო, საგანმანათლებლო, კულტურულ ღონისძიებებს, სპორტულ შეჯიბრებებს. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ენის ბარიერის დაძლევას და ყველაზე მნიშვნელოვანს – სტუდენტების ინტეგრაციას, დასაქმებას.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. მარნეული, რუსთაველის 13ბ	555454305, 555966119	msccolegi@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- აღმზრდელი;
- საექთნო განათლება;
- ინფორმაციის ტექნოლოგი;
- საფინანსო სერვისები.

პარტნიორი ორგანიზაციები

თიბისი ბანკი

ჯეო-ჰოსპიტალი

ა(ა)იპ მარნეულის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება

მარნეული მოლი

ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

შპს კოლეჯი „მესამე სამედიცინო“

ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ჩვენს კოლეჯს არსებობის მრავალწლიანი ისტორია აქვს. 1937 წელს თბილისში გაიხსნა საფერშლო სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება. წლების განმავლობაში დაწესებულებამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება და ბოლოს დამკვიდრდა, როგორც შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინო“.

კოლეჯმა წლების განმავლობაში მრავალი სპეციალისტი აღზარდა. დაწესებულება სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით, ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობენ საქართველოს თითქმის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში წამყვანი მედპერსონალის პოზიციაზე.

დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაცია და გაცემული დიპლომი საკმარისია იმისათვს, რომ კურსდამთავრებულები სპეციალობის მიხედვით დასაქმდნენ საზღვარგარეთ.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 142	**598 113 007**	**medicalschool3@gmail.com**

პროფესიულ-სამანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება;
- ფარმაცია (სააფთიაქო);
- საოფისე საქმე.

პარტნიორი ორგანიზაციები

ს/ს „ევექსის ჰოსპიტლები“
ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი
შპს „ავერსი-ფარმა“
პედიატრიული კლინიკა „M მედი 22“
შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი
ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“
შპს „რითეილ ჯგუფი“

შპს „ორიენტირი“

ქალაქი თბილისი, ქვემო ქართლის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს „ორიენტირი“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც დაარსდა 1992 წელს და დღემდე ზრუნავს შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი, პროგრამების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, დასასვენებელი სივრცე სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები, სამედიცინო ოთახი, საკონფერენციო/ღონისძიებების დარბაზი. შენობის ყველა სართულზე შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით სარგებლობა.

შპს „ორიენტირმა“ არსებობის მანძილზე ბევრ წარმატებას მიაღწია:

- 2016 წელს, ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მიერ ჩატარებულ საწარმოო სამეურნეო სუბიექტების ზოგადსახელმწიფოებრივი რანჟირებისას, ლიდერ საწარმოთა ტოპ-ათეულში მოხვდა და გადაეცა ჯილდო „ოქროს რეიტინგი“.
- შპს „ორიენტირი“ კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებული ბრენდირების ორგზის ხუთი ვარსკვლავის მფლობელია. კოლეჯი აქტიურად მონაწილეობდა და კვლავაც აგრძელებს მონაწილეობას სკკა-ს მიერ ჩატარებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, რისთვისაც მიღებული აქვს არაერთი სერტიფიკატი.
- სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა“, 2019 წელს, კოლეჯი „ორიენტირი“ დააჯილდოვა „საუკეთესო პარტნიორის ტიტულით“ განსაკუთრებული თანამშრომლობისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის.

შპს „ორიენტირი“ დაარსების დღიდან ფეხს უწყობს განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს და აქტიურად არის ჩართული პროფესიული განათლების განვითარების პროცესში.





მისამართი

ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 26

საკონტაქტო ტელეფონი

577784746, 599275739

ელექტრონული ფოსტა

collegeorientiri@gmail.com

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი პროგრამები:

- ფარმაცია (სააფთიაქო);
- საექთნო განათლება;
- საფინანსო სერვისები;
- ღონისძიების ორგანიზება;
- კბილის სატექნიკო საქმე.

მომზადება-გადამზადების პროგრამები:

- სადღესასწაულო ღონისძიების დაგეგმვა;
- ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- სალარო ოპერაციების განხორციელება;
- გერიატრიული ასისტენტი.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს „დენტა“

შპს „დენტალლაბი“

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

N5 კლინიკური საავადმყოფო

ა(ა).ი.პ. საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“

სს „ევექსის ჰოსპიტლები“

ააიპ „საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია“

სს „გუდვილი“

შპს „მოზაიკა პლიუსი“

სს თიბისი

შპს „პსპ ფარმა“

ა(ა)იპ ქ. თბილისის 46-ე საბავშვო ბაღი

ა(ა) იპ ქ. თბილისის 43-ე საბავშვო ბაგა ბაღი

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“

ქალაქი ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

დაწესებულება დაარსდა 2000 წლის ივნისში, როგორც შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი“. 2005 წლის აგვისტოში სასწავლებელმა შეიცვალა სახელწოდება და დაფუძნდა, როგორც შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრი“, ხოლო 2014 წლის ივლისიდან მას ეწოდება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი.

სასწავლებელი ჩამოყალიბების დღიდან ახორციელებს საზღვაო სპეციალისტების თეორიულ, პრაქტიკულ და საწვრთნელ მომზადება-გადამზადებას „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ (STCW) ცვლილებებით საერთაშორისო კონვენციის, მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის და სხვა საერთაშორისო და ეროვნული საზღვაო კანონმდებლობების მოთხოვნების შესაბამისად.

ამჟამად სასწავლებელს ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2745 და საშუალო პროფესიული პროგრამების 85 კურსდამთავრებული. ამათგან 84% დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად.

სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად დაწესებულებას გააჩნია სასწავლო აუდიტორიები (A გარემო), აღჭურვილი კომპიუტერებით და მონიტორებით, ლინგვისტიკის კაბინეტი უცხო ენების შესასწავლად, 2 საინფორმაციო ტექნოლოგიების კლასი (B გარემო), საკუთარი სასწავლო-საწვრთნელი გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“, სწრაფმავალი და სამაშველო კატარღები და ტივი, ხმელეთზე განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, რეალური გემის ტრენაჟორი, სამანქანე განყოფილება, ლაბორატორიები, საამქროები, საცურაო აუზი, ბიბლიოთეკა და სხვა.

დაწესებულებას პრიორიტეტულად მიაჩნია პროფესიული სტუდენტებისთვის კომფორტული გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე, საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს საცხოვრებელ სივრცეს კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელში.

პროფესიული სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია დასვენების სივრცეც.

მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
ქ. ბათუმი, შ.ხიმშიაშვილის ქ. N11/4	+995 593 402218, +995 579 79 99 44	info@mtc-anri.edu.ge

პროფესიულ-სამეცნიერო-მასწავლებლო პროგრამები

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია;
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია.

პარტნიორი ორგანიზაციები

შპს ბუსსს ანრი მჭიდროდ თანამშრომლობს საკრუინგო და გემთმფლობელ კომპანიებთან, რათა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები საცურაო პრაქტიკით და ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

მპს კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი“

ქალაქი ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი“ დაფუძნდა 2006 წელს. კოლეჯის დამფუძნებელი და დირექტორია ფილოლოგიის დოქტორი გელა მამფორია.

2008 წლიდან კოლეჯი, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული დაწესებულება, ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ პროგრამებს.

კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი“ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც მსურველებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს სთავაზობს. ის ორიენტირებულია ქვეყნისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე, ასევე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობაზე.

პრიორიტეტული პროფესიული პროგრამები, ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები – ყოველივე ეს უზრუნველყოფს ჩვენი სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღებასა და დასაქმების შესაძლებლობას.

მისამართი

ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. N32

საკონტაქტო ტელეფონი

(+995) 577 43 03 70

ელექტრონული ფოსტა

info@ckhum.edu. ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

გრძელვადიანი პროგრამები:

- საექთნო საქმე;
- ფარმაცია (სააფთიაქო);
- ელექტროობა;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- საფინანსო სერვისები.

მოკლევადიანი პროგრამები:

- გერიატრიის ასისტენტი;
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა.

პარტნიორი ორგანიზაციები

სს „ევექსის ჰოსპიტლები“ – ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი

შპს მრავალპროფილური კლინიკა NLI

სს „გეფა“

სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

ქუთაისის სამედიცინო ცენტრი

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრი

შპს „ალტა სოფთვეარი“

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

შპს „გენი“

შპს „მეგაელიტი“

აუდიტორული კომპანია შპს „ფინსერვისი აუდიტი“

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

სსიპ ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის N11 საჯარო სკოლა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა

სსიპ აფხაზეთის N 1 საჯარო სკოლა

სსიპ ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის N2 საჯარო სკოლა

ქალაქ ზუგდიდის N 13 საბავშვო ბაგა- ბაღი

ქალაქ ზუგდიდის N 9 საბავშვო ბაღი

ქალაქ ზუგდიდის N 16 საბავშვო ბაგა- ბაღი

ინგირის საბავშვო ბაღი „წითელქუდა“

დარეგისტრირდი http://vet.emis.ge

ნინო ზაგბახიძე

ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე

როდესაც განათლების ხელმისაწვდომობაზე ვსაუბრობთ, ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დუალურ პროგრამებში როგორც გენდერული, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განათლების ინკლუზიური სერვისების შეთავაზება. განათლება იყო და კვლავაც რჩება უპირველეს გამოწვევად სოფლის მეურნეობაში. ამის საპასუხოდ, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, მისი აქტიური მოღვაწეობის პერიოდიდან მოყოლებული, მუდმივად ჩართული იყო სექტორში განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში.

თამარ კვინიკაძე

სსიპ "მანათლებლის მართვის საინფორმაციო სისტემის" წარმომადგენელი, პროფესიული განათლების მიმართულების მენეჯერი

შესაძლებლობები უსაზღვროა და მას თავად ქმნიან ადამიანები. პროფესიული განათლების სისტემა და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი პროგრამები უნიკალურ შანსს იძლევა დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის, რაც მომავალი წარმატების და კარიერული წინსვლის მყარი საფუძველია.

მარიკა ზაქარეიშვილი

მანათლების ექსპერტი

პროფესიული განათლება არის იმ ადამიანებისათვის, ვისაც უყვართ პრაქტიკული საქმიანობა, ინოვაციური და განსხვავებული პროდუქტების შექმნა. გირჩევთ, გაეცნოთ მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების ჩამონათვალს და ამოირჩიოთ ის, რის კეთებაც ყველაზე მეტად დაგაინტერესებთ. საყვარელი საქმის კეთება ბედნიერებაა!

ანასტასია ქიტიაშვილი

პროფესორი, პროფესიული განათლების ექსპერტი

მიიღეთ პროფესიული განათლება და გახდით ლიდერი თქვენს სფეროში. პროფესიული განათლება მოგცემთ შესაძლებლობას, გახდეთ პროფესიონალი, შექმნათ საკუთარი მომავალი და დაიმკვიდროთ თავი საზოგადოებაში.

საბა სარიშვილი

USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" დირექტორის მოადგილე

მართე შენი მომავალი! კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი ნიშნავს ხარისხიან მომსახურებას და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო საინვესტიციო ბაზარზე.

მიორმი პერტაია

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

პროფესიული განათლება – დასაქმებისა და წარმატების უმოკლესი გზა.

დარეგისტრირდი

http://vet.emis.ge

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

Georgian Farmers' Association

UNDP